მეგობრებო, საჩუქრები დიდ ოქტომბერს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 221 (12429)

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

გავშალოთ შეჯიბრება ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად

თბილისელთა ახალი ვალდებულებანი

საბჭოთა მთავრობის მოწოდების პასუხია

საბჭოთა მთავრობამ მიმართა ჩვენს ხალხს და მოუწოდა კვლავაც ისეთივე წარმატებით იშრომოს, როგორც ამჟამად შრომობს.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მიმართვას და კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ახალი შრომითი წარმატებებით განამტკიცებენ სამშობლოს ძლიერებას.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის 9 მოწინავე საწარმოს კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა — გაშალონ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მოსკოველთა პატრიოტულმა თაოსნობამ, რომელსაც მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა თბილისის საწარმოთა მშრომელებს შორისაც.

თბილისის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მზვიდობიან შემოქმედების შრომას ეწევიან, რათა განახორციელონ ჩვენი პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა.

ჩვენ, თბილისის მთელი რიგი ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივები, დავდექით საოქტომბრო შრომითის ვახტზე და ვალდებულებას ვკისრულობთ ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებანი. ამისათვის დაუცხრომლად ვიბრძოლებთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესებისათვის, წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ყველაზე ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რეზერვების გამოყენებისათვის, ეკონომიური მუშაობისა და კადრების სწავლების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ ვიბრძოლებთ საწარმოთა რენტაბელობის გადიდებისათვის, ნაკეთობათა თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის.

ეს იქნება ჩვენი პასუხი მშობლიური საბჭოთა მთავრობის მოწოდებაზე, აგრესორთა პროვოკატორულ ხრიკებზე, რომლებმაც თავიანთი სისხლიანი ხელი აღმართეს რევოლუციური კუბის წინააღმდეგ.

ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გამოვავლინეთ დამატებითი რეზერვები და ვკისრულობთ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა

27 ოქტომბრისათვის შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა. ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის გამოვუშვათ ახალი გაუმჯობესებული კონსტრუქციის მძლავრი სამგისტრალო ელმავალი ტ-8.

0,2 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ადრე ნაკისრ ვალდებულებასთან შედარებით.

1 ნოემბრისათვის კონვეიერულ ხაზზე გადავიყვანოთ ასამუშავებელ წინაღობათა ასაწყობი უბანი, 1 დეკემბრისათვის კი დავამზადოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ ელექტრომანქანების კოლექტორული ფირფიტების დასამუშავებელი მაღალი წარმადობის ახალი ავტომატური ხაზი.

დავნერგოთ დაგეგმვის ახალი სისტემა საწარმოო საამქროში ერთიანი დისპეტჩერული გრაფიკით და 1 ნოემბრიდან შემოვიღოთ მოძველებული საგანაწესო სისტემის ნაცვლად აღრიცხვის სისტემა ცვლის დავალებათა და საღღეღამისო პატაკების მიხედვით.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა

27 ოქტომბრისათვის შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა და გამოვუშვათ ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით, ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ რამდენიმე ლითონსაჭრელი ჩარხი.

წლის დამლევისათვის 1,5 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ნაცვლად ადრე ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 1 პროცენტისა.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა

20 ოქტომბრისათვის შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით შევაკეთოთ რამდენიმე ორთქლმავალი.

გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1,5 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის ფონდში 20 ათასი მანეთი.

ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის წარმოებაში დავნერგოთ დამატებით სამი ერთეული ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობა. რაციონალიზატორულ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვით მივიღოთ პირობითი წლიური ეკონომია — 33 ათასი მანეთი.

ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა

20 ოქტომბრისათვის შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 60 ათასი მანეთის ნაკეთობა. 20 დეკემბრისათვის, ანუ წინათ ნაკისრ ვალდებულებაზე 4 დღით ადრე გავანაღდოთ წლიური გეგმა.

0,8 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ნაცვლად ადრე ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 0,3 პროცენტისა. ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის დანახარჯები შევამციროთ 0,7 კაპიკით ნაცვლად ადრე ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 0,2 კაპიკისა.

ავითვისოთ და გამოვუშვათ ყურძნის პირველადი გადამუშავების ორი ნაკადური ხაზი, საათში 20 ტონის წარმადობისა. ერთი ასეთი ხაზი გამოვუშვათ ვადამდე — სექტემბერში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული მეოთხე კვარტალისა.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი

ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა.

7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 145 ტონა ნართი და 600 ათასი ცალი საცვალი — სულ 690 ათასი მანეთის ნაწარმი.

1,5 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 2 პროცენტით გავუმჯობესოთ პროდუქციის სორტულობა.

დავზოგოთ 42 ტონა ბამბა და დაზოგილი ნედლეულისაგან გამოვიმუშაოთ 72 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანოთ 40 ათასი მანეთი.

ავეჯის კომბინატი

22 ოქტომბერს შევასრულოთ ათი თვის გეგმა, ხოლო 5 დეკემბერს დავამთავროთ წლიური გეგმა. ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 306 ათასი მანეთის პროდუქცია.

5 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება წინათ ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 3 პროცენტის ნაცვლად. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მივიღოთ 60 ათასი მანეთი ეკონომია წინანდელი ვალდებულებით გათვალისწინებული 45 ათასი მანეთის ნაცვლად.

პირველი სორტის პროდუქციის გამოშვება ავიყვანოთ 95 პროცენტამდე, რაც 5 პროცენტით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

1 ნოემბრისათვის წარმოებაში დავნერგოთ ავეჯის მოპირკეთების ნაკადური ხაზი.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა

25 ოქტომბერს შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 900 ათასი მანეთის პროდუქცია.

1,5 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, 50 ათასი მანეთით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მივიღოთ 80 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის ავითვისოთ 9 ახალი სახეობის ქსოვილი და გამოვუშვათ იგი 500 ათასი მეტრის რაოდენობით.

კერამიკული კომბინატი

5 ოქტომბერს შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა. 1 დეკემბერს დავამთავროთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 48 ათასი კვადრატული მეტრი მოხატვრილებული ფილები და 4.800 ერთეული სამშენებლო ნახევრფაიფური 200 ათასი მანეთისა.

გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 3 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და 2,2 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

1 ოქტომბრამდე საექსპლოატაციოდ გადავცეთ თაბაშირსამსხმელო კონვეიერი, ხოლო ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის — სამხატვრო საამქროს ქუჩა, რაც მხატვრულ ნაკეთობათა და ხუვენირთა გამოშვებას გაადიდებს 20 პროცენტით.

საკონდიტრო კომბინატი

20 ოქტომბერს შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 650 ათასი მანეთის 400 ტონა საკონდიტრო ნაწარმი. 24 დეკემბერს დავამთავროთ წლიური გეგმა წინათ ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 27 დეკემბრის ნაცვლად.

1,3 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება წინათ ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებულთან შედარებით. დავზოგოთ 5.000 კილოგრამი ნედლეული და მასალა. 0,8 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და მივიღოთ 225 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის განვახორციელოთ კარამელის მასის ხარშვის პროცესის ავტომატიზაცია, დავდგათ და ავითვისოთ 3 ერთეული ახალი ტექნიკის მოწყობილობა, გამოვუშვათ 2 ახალი სახეობის ნაწარმი.

ჩაის საწონი ფაბრიკა

25 ოქტომბერს შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ ერთ მილიონ ორასი ათასი მანეთის 240 ტონა მზა დაფასოებული ჩაი. 20 დეკემბრისათვის დავამთავროთ წლიური გეგმა.

1,8 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, 100 ათასი მანეთით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მივიღოთ 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

* * *

ვკისრულობთ რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, მივმართავთ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ყველა საწარმოს, სამეცნიერო დაწესებულებათა, ტრანსპორტის, მშენებლობათა, საქალაქო მეურნეობის ორგანიზაციების კოლექტივებს, ყველა მუშას, მეცნიერს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს:

უფრო ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საწარმოთა კოლექტივების საერთო კრებებზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბრუნო პიტერმანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 17 სექტემბერს კრემლში მიიღო ავსტრიის ვიცე-კანცლერი ბრუნო პიტერმანი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

ნ. ს. ხრუშჩოვს ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ჰქონდა ბ. პიტერმანთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ი. ი. ილიჩოვმა და ავსტრიის მხრივ — ავსტრიის ელჩმა სსრ კავშირში გ. ხაიმერლემ.

საუკეთესო პროდუქცია

ბევრი საწარმოო გამარჯვებაა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივის ანგარიშზე. მოწინავე მუშები და ნოვატორები ნერგავენ უახლეს მოწყობილობას, შეაქვთ თავიანთი კოლექტივები მანქანების დამზადებაში, მაქსიმალურად იყენებენ სამუშაო დროს. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება აქ გაზრდილია წლის დასაწყისიდან 10.8 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 5 პროცენტით და უფრო მეტად. რესპუბლიკის ბევრ კოლეტურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აქედან ყოველდღიურად გზავნიან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ჩვენი ქვეყნის საწარმოებში იგზავნება სამსხმელო მოწყობილობა.

ახლა ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობაა. თითოეული წარმოების მუშაკი ცდილობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს. ზედიზედ დგებიან საოქტომბრო შრომითს ვახტზე ცალკეული წარმოების მუშები და მთელი ბრიგადები. წინასაღღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც რ. სარქისოვი ხელმძღვანელობს. იგი უკვე 1964 წლის ანგარიშში შრომობს. ღღესასწაულის აღსანიშნავად ბრიგადამ გადაწყვიტა საწარმოო გეგმა 170-180 პროცენტით შეასრულოს. ვალდებულებები წარმატებით ხორციელდება.

შვიდწლედის მეხუთე წლის ანგარიშში შრომობს წარმოების ერთ-ერთი საუკეთესო ხარატი გრიგოლ სახელაშვილი. წინასაღღესასწაულო შრომითი ვახტის პირველ ღღეს მან ცვლის დავალება 200 პროცენტით შეასრულა და პირობა დადო ტემპის შეუნელებლად იმუშაოს. ერთნახევარი-ორი ნორმა ცვლაში — აი ზეინკლის პავლე თვაურის მუშაობის ყოველღღიური შედეგი.

წარმოების მოწინავეთა მაგალითს მიბაძა ქარხნის მთელმა კოლექტივმა, რომელიც ამჟამად მუშაობს დევიზით: „ვადამდე გამოვუშვათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია“. (საქდესი).

შპალი—ფოლადის მაგისტრალებს

გორი. (საკ. კორ.). შპალსაჭრელნთი ქარხნის კოლექტივი, რომელიც ტიხორეცკელ და რიაზანელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, ოქტომბრის დიადი დღესასწაულის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და საწარმოო დავალებებს გადამეტებით ასრულებს. რვა თვის დავალება განაღდებულია 103,3 პროცენტით.

მარტო აგვისტოში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 666 კუბური მეტრი გაღღეთილი მერქანი. სასახელოდ შრომობს კომუნისტური შრომის სპარტაო სახელის მოპოვებისათვის მებრძოლი ცვლა, რომელსაც ოსტატი გ. ასბარიანი ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ რვა თვის დავალება 104,1 პროცენტით შეასრულა.

სექტემბერში კიდევ უფრო გაძლიერდა შრომის ტემპი ქარხანაში. — წლიური საწარმოო დავალება გაანაღღდოს ვადაზე ადრე — 21 დეკემბრისათვის — ასეთია შპალსაყიენთი ქარხნის კოლექტივის საოქტომბრო ვალდებულება.

გარაქიანი რთველი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ყურძნის საადრეო ჯიშები დამწიფდა. ქარვის ფერი დაედო ცოლიკაურს, ციცქას, ქვიმხურს, კრახუნას, წითლად ღუნის საფერავი, ალექსანდროული, ძველმაკი...

იმერეთში ბარაქიანი რთველი დაიწყო. კრეფენ საადრეო შამამანურ ჯიშებს. ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალმა ღვინის ქარხნებმა ოთხას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიიღეს და გადაამუშავეს. ზესტაფონელმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიაყიდეს ას ტონაზე მეტი ყურძენი, ორჯონიკიძელებმა — 60 ტონაზე მეტი, თერჯოლელებმა — 40 ტონაზე მეტი. საადრეო ჯიშების ყურძნის კრეფა იწყება საჩხერისა და ჭიათურის რაიონების კოლმეურნეობებში.

ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ჰექტარზე 65 ცენტნერი „პინო“ მიიღეს. ეს 15 ცენტნერით აღემატება გეგმიან დადგენილ ნორმებს. ასევე ადრეულ ყურძენს ამზადებენ ბაღდათელები. ბელგაზეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ა. ახრახაძემ მოსავლელად მიმაგრებული ფართობიდან ჰექტარზე გაანგარიშებით 83 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ასევე კარგი მოსავალი მოიყვანეს მევენახეებმა ო. ახრახაძემ და ა. ცერეცვაძემ.

ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალი მევენახეები იმისათვის იბრძვიან, რომ სახელმწიფოს მიაყიდონ 38.000 ტონა ყურძენი.

დაწინაურდნენ

წითელწყაროს. ზურგსა და ვენახებში დილიდან საღამომდე ყურძნის მკრეფავთა ხმა ისმის. რაიონში უკვე მოკრიფეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს 1.200 ტონა ყურძენი. ყურძნის კრეფაში დაწინაურდნენ ზემო მაჩხანის, არბოშიკის, ჯაფარიძის კოლმეურნეობები.

სამგორი. საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში შემავალ საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღიურად ძლიერდება ყურძნის კრეფის ტემპი. მიმდინარე წელს გეგმით უნდა მოკრიფოს და ჩაბარდეს დამამზადებელ ორგანიზაციებს 7.900 ტონა. უკვე მოკრეფილია 1.000 ტონაზე მეტი.

სუფრის ჯიშის ყურძნის კრეფაში წინ მიდიან სამგორის, ვაკეთილის, ლილოს, რუსთაველის საბჭოთა მეურნეობები.



ამ ცქრიალა გოგონამ თავდადებული შრომით იაახელა თავი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“. ნორა ჭკადუა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის წევრია. მას უკვე მოკრეფილი აქვს 5.200 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. ახლა წარჩინებული მეჩაიე იმისათვის იბრძვის, რომ სეზონში კიდევ მოკრიფოს 800 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

მარჯვენას უქბენ გურამ ჯახუტაშვილს, რომელიც თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში“ ზეინკლების კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. საქალაქო საბჭოს დეპუტატის გ. ჯახუტაშვილის ბრიგადის სიპატიო წევრებად ითვლებიან მფრინავი კოსმონავტები ი. გაგარინი და გ. ტიტოვი. ეს ბრიგადა პირობას იძლევა წელს შეასრულოს შვიდწლიანი გეგმა.

სურათებზე: ნორა ჭკადუა (მარცხნივ) **და გურამ ჯახუტაშვილი.**

ფოტო ი. დავითაშვილისა და გ. კოკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



გუშინ ჩაის პლანტაციებში

მახარაძის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი რაიონების მეჩაიეები ახალ წარმატებებს აღწევენ საოქტომბრო სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 47.755 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაგვლად ვალდებულებით ნაკისრი 46.160 ტონისა. ვალდებულების გადამეტებით მოკრეფილია 1.595 ტონა ჩაის ნედლეული.

ამ საქმეში მრავალმა კოლმეურნეობამ ისახელა თავი. სოფელ განახლების კოლმეურნეობამ სულ მოკრიფა 881 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 752 ტონისა. მელექედურელ მეჩაიეებს ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ 1.005 ტონა, მოკრიფეს 1.060 ტონა.

სტუმრები თბილისიდან გაემგზავრნენ

სტუმრები იყვნენ ლაბორატორიებში, კაბინეტებში, სახელოსნოებში, დაესწრნენ მხატვრული თვითმოქმედების წრეების რეპეტიციებს.

— ეს შესანიშნავი დაწესებულებაა, სადაც ბავშვებისათვის შექმნილია მათი ნიჭის განვითარების ყველა პირობა, — განაცხადა რუმინელმა პროფესორმა კონსტანტინესკუმ.

დელეგატებმა დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. მათ დიდი ინტერესით მოისმინეს ნაამბობი ქართული ხელოვნების აყვავების შესახებ. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალურმა ნაწარმოებებმა, ხისა და ქვის ჩუქურთმებმა, ფრესკებმა, ძვირფასი ლითონებისა და მინანქრის მხატვრულმა სამკაულებმა.

კონგრესის მონაწილეებმა გაისეირნეს ქალაქში, დაათვალიერეს ძველი თბილისი და ახალშენებლობათა რაიონები. თბილისის მაგალითით, — თქვა პოლონელმა მეცნიერმა სტანისლავ მაშორმა, — სადაც ამდენი ახალი, შესანიშნავი ნაგებობა და ესოდენ ბევრი სამშენებლო მოედანია, ჩანს, თუ რა უდიდეს ზრუნვას იჩენენ საბჭოთა კავშირში ადამიანებისათვის.

საფრანგეთის დელეგაციის წევრთა ძირითადმა ჯგუფმა მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტის პიერ ლე რუას მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იაპონიის, ბელგიის, კვიპროსის, მაროკოს, შვეიცარიის დელეგაციებმა გადაწყვიტეს გაეცნონ უზბეკეთს.

გამგზავრების წინ ბარონმა ლე რუამ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა:

— გვიძნელდება მეგობრებთან გამოთხოვება. მივემგზავრებით, მაგრამ გული საქართველოში გვრჩება.

18 სექტემბერს თბილისიდან გაემგზავრნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის დელეგაციები, რომლებიც კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ. (საქდესი).

მადლობა საბჭოთა მთავრობას

დელი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის მთავრობას „კრედიტებისა და დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევს ინდოეთს სახელმწიფო სექტორში მედიკამენტების სამი ქარხნისა და ქირურგიული ინსტრუმენტების ქარხნის მშენებლობისათვის“.

ეს მადლობა გამოქმეულია ნერუს წერილში, რომელიც წაიკითხეს როცა გაიმართა ცერემონია მადრასის მახლობლად ქირურგიული ინსტრუმენტების ქარხნის საფუძვლის ჩაყრის დროს. ქარხანა აშენდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით და აღჭურვილი იქნება უახლესი მოწყობილობით.

კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი და გამოსვლები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა პარტიული და საბჭოთა მუშაკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა მუშაკების, ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სურვილი და მიიღო გადაწყვეტილება გამოსცეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი და გამოსვლები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, დაწყებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმით.

სულ გამოცემული იქნება ხუთი ტომი. ამ ტომებში დაიბეჭდება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, გამოსვლები სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალურ თათბირებზე, ბარათები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი, რომლებიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს, საუბრები სოფლის მეურნეობის მუშაკებთან, აგრეთვე საუბრები საზღვარგარეთელ მოღვაწეებთან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე.

ამჟამად სათაურით „კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება“ გამოვიდა მოხსენებათა და გამოსვლათა პირველი ტომი. ტომში დაბეჭდილია მოხსენებანი, გამოსვლები და ბარათები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი 1953 წლის სექტემბრიდან 1955 წლის იანვრამდე. პირველ ტომში დაბეჭდილია: მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“; სიტყვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 28 იანვარს „კადრები და ტექნიკა გადამწყვეტი ძალაა სოფლის მეურნეობის აღმავლობაში“; სიტყვა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 5 თებერვალს „გადავაქციოთ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო, დიდშემოსავლიან მეურნეობად“; სიტყვა რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1954 წლის 15 თებერვალს „ავამაქმედოთ რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები“; სიტყვა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა კრებაზე 1954 წლის 22 თებერვალს „ყამირი მოუწოდებს ახალგაზრდობას გმირობისათვის“; მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1954 წლის 23 თებერვალს „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“; სიტყვიდან ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1954 წლის 6 მარტს „უმნიშვნელოვანესი, პირველი რიგის ამოცანა“; სიტყვიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1954 წლის 26 აპრილს „ჩვენ ყველაფერი გვაქვს სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის“; სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1954 წლის 23 ივნისს „მტკიცედ ვიბრძოლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობისათვის“; სიტყვა ციმბირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1954 წლის 11 ივლისს „უფრო სრულად გამოვიყენოთ ციმბირის სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი“; ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ინგლისელ მეცნიერთან და საზოგადო მოღვაწესთან ჯონ ბერნალთან 1954 წლის 25 სექტემბერს „ყამირის ათვისება დიდი წვლილია საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში“; სიტყვა შუა აზიის, ამერკავკასიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის სსრ მებამბეობის მუშაკთა თათბირზე ტაშკენტში 1954 წლის 20 ნოემბერს „ბამბის წარმოების გადიდება უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა“; სიტყვიდან მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 7 დეკემბერს „რამდენიმე შენიშვნა საგზაო და სასოფლო მშენებლობის შესახებ“; სიტყვა ქალაქ მოსკოვის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის კრებაზე, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი წასულიყვნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, 1955 წლის 7 იანვარს „გზა მშვიდობისა, ახალგაზრდა პატრიოტებო!“; მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1955 წლის 25 იანვარს „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“.

ბევრი მასალა, რომლებიც მოთავსებულია პირველ ტომში, პირველად ქვეყნდება, მათ შორის: სიტყვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 28 იანვარს; სიტყვა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 5 თებერვალს; სიტყვა რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1954 წლის 15 თებერვალს და სხვა.

პირველად ქვეყნდება ბარათები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის გზები“; „ზოგიერთი შენიშვნა ყაზახეთში მოგზაურობის შესახებ“; ბარათიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი შორეულ აღმოსავლეთსა და სახალინში მოგზაურობის შესახებ „შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრეები აუთვისებელია“.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში, რომლებიც პირველ ტომში გამოქვეყნდა, დასმულია კომუნიზმის მშენებლობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. პარტიული, საბჭოთა კადრები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ნახავენ აქ პასუხს ბევრ თეორიულ კითხვაზე, აგრეთვე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების აქტუალურ პრაქტიკულ კითხვებზე. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

მარგო უჯაქჯობა თუ იძულებითი დუმილი?

მდიდარი შესაძლებლობის საოფლო-სამეურნეო არტელია ჩვენი კოლმეურნეობა. ნაყოფიერი ნიადაგი, შესანიშნავი საძოვრები, მეტს რას ინატრებს მშრომელი კაცი, მაგრამ... მაგრამ განა ვიყენებთ ბუნების ამ მადლს, ამ შესაძლებლობებს? წლითიწლობით მცირდება მოსავლიანობა, მეჩხერდება ვენახები, ვერ უზრუნველვყოფთ მეცხოველეობის ხეირიანად განვითარებას, და ვიდმენთ ყოველივე ამას კომუნისტები, პარტიული ორგანიზაცია, კოლმეურნეობის გამგეობა...

ბრალდებასავით ისმოდა ძველი კომუნისტის ლევან ხოჯამიროვის ეს სიტყვები საკოლმეურნეო კლუბში, სადაც იმ დღეს მიმდინარეობდა ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პარიზის კომუნის“ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. დამსწრენი სულგანაბული ისმენდნენ კომუნისტის სამართლიან შენიშვნებს.

ის კი განაგრძობდა:

— უკრაინელი მერგოლურის ნ. ზაგლადას წერილი ხომ წაიკითხეთ — სოფლის მშრომელთა დიდი ნაწილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე მუშაობით, პირადი მეურნეობით არის გატაცებული, იქ ტოვებს თავის სინდისს და ღირსებასო. დამეთანხმებით, რომ საგსებით სწორად არის ნათქვამი. ამას ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითიც ადასტურებს. გავიდეთ საზოგადოებრივ მეურნეობაში, დავათვალიეროთ ფართობები, და ყველაფერი ნათელი გახდება. საკოლმეურნეო ზვრებში ვაზი ელის მშრომელის ხელს, კოლმეურნეები კი თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში მუშაობენ. 132 ჰექტარი ვენახიდან 120 სრულმოსავლიანი გვაქვს. კარგი პატრონის ხელში ბარაქით უნდა აივსოს მარნები, მაგრამ ვენახი ისეა გამეჩხერებული, რომ თვითეული ჰექტარზე 30-35 პროცენტი ადგილი ცდება, რაც არის, - ისიც ცუდად გვაქვს მოვლილი...

ლ. ხოჯამიროვის კრიტიკულმა გამოსვლამ ტონი მისცა დანარჩენ კომუნისტებს. პარტიული კრება ცხარე კამათად გადაიქცა. ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან კომუნისტები ბ. ხუბლარიანი, რ. გალუსტიანი, გ. მინასიანი და სხვები. აი რა აღელვებს მათ:

— საანგარიშო პერიოდში პარტიურო ცუდად მუშაობდა. მან ვერ შეძლო დაერაზმა სოფლის მშრომელები დასახული ამოცანების შესასრულებლად. დაბალი იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე. უმოქმედობას იჩენდნენ პარტიული ჯგუფები, არ იგრძნობოდა კომუნისტების ავანგარდული როლი. კომუნისტების ერთი ნაწილი გაურბოდა შრომას. მაგალითად, წელს, რვა თვეში კომუნისტმა ს. არზუმანიანმა მხოლოდ ექვსი შრომადღე გამოიმუშავა, ს. აბრამიანმა — ათი. ასევე იზარმაცეს ვ. აღაიანმა, ღ. დანელიანმა და სხვებმა.

კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ ბევრი კომუნისტი საკოლმეურნეო სასარგებლო შრომაში არ აბამს თავის ოჯახის წევრებს.

კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ ფაქტებით: 1.600 შრომისუნარიანი კოლმეურნეიდან შრომადღეების მინიმუმი გამომუშავებული არა აქვს 450 კაცს, მაშინ როცა მეცხვარეობის ფერმებში დაქირავებული ხალხი მუშაობს. განა შემთხვევითია, რომ ას სულ ცხვარზე მხოლოდ 61 ბატკანია მიღებული?

— ჩვენი კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ს. არზუმანიანი, — თქვა კომუნისტმა ო. ხუბლარიანმა, — ვენახზე არ ზრუნავს. ვაზს ნაცარი გაუჩნდა, გოგირდი მოვთხოვე, ყურადღება არ მომაქცია, და ვენახი დაღუპვამდე მივიდა.

მრავალი სამართლიანი შენიშვნა და საყვედური გამოთქვეს კომუნისტებმა პარტიბიუროს, კოლმეურნეობის გამგეობისა და სპეციალისტების მისამართით. კიდევაც ჰქონდათ ამის საფუძველი: კოლმეურნეობაში 235 ჰექტარი სიმინდის ნათესი მთლიანად დაიღუპა. სასილოსე მასა ჰექტარზე 70 ცენტნერს არ აღემატება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ცენტნერისა. მემინდვრეობაში შესრულებული არ არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობის გეგმა, 8 თვეში სახელმწიფოს მიეყიდა მხოლოდ 20 ტონა ხორცი, გეგმა კი 63 ტონას ითვალისწინებს. დიდი ჩამორჩენაა სახელმწიფოსათვის მატყლის, კვერცხის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის საქმეში. ნელი ტემპით მიმდინარეობს საკვების დამზადება. მაღალია წარმოებული პროდუქტების თვითღირებულება.

და ყოველივე ამის შემდეგ კომუნისტების სამართლიანი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ სიტყვით არ გამოვიდა არც კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ჰ. ცაკანიანი და არც სოფლის მეურნეობის რომელიმე სპეციალისტი. საკითხავია, უტაქტობა იყო ეს თუ იძულებითი დუმილი?

როცა პარტიული კრება შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას — პარტბიუროს არჩევნებს, კომუნისტებმა აცილება მისცეს პარტბიუროს ყოფილ მდივანს ვ. როსტომიანს, რომელმაც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას, და გადაირჩიეს იგი.

პარტბიუროს მდივნად აირჩიეს პატიოსანი კოლმეურნე და ენერგიული კომუნისტი ლ. ხოჯამიროვი.

ზ. მერკვილაძე,
პ. ქრისტესიანოვი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის პროპაგანდისათვის

მოსკოვი, 17 სექტემბერი. (საკდესი). საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა შორის მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისათვის პროფორგანიზაციათა მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, რამდენადმე გაუმჯობესეს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა მშრომელთა შორის. უფრო ფართოდ იყენებენ ადამიანთა შეგნებაში რელიგიური ცრურწმენებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ფორმას.

ამასთანავე ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს მშრომელთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდისათვის...

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო საბჭოებს, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს პრაქტიკული ღონისძიებები მიიღონ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის. საჭიროა მიღწეულ იქნეს, ნათქვამია დადგენილებაში, რომ ეს მუშაობა იყოს კონკრეტული, უზრუნველყოფდეს მოქმედი რელიგიური ჯგუფების, საზოგადოებების, სექტების იდეოლოგიის მხილებას...

ბათუმის რაიონის სოფელ მახოს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა ერთერთი მოწინავეა ქობულეთის საწარმოო სამმართველოში. კარგი მაჩვენებლები აქვს კომკავშირელ მწველავს ზინა მსხილაძეს, მას თერთმეტი საფურავე ძროხა ჰყავს ჩაბარებული. თვითეულზე 3.300 კილოგრამ რძეს მიიღებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა.

* * *

სურათზე: ფერმის გამგე ვენერა კირთაძე (მარჯვნივ) იწერს მწველავ ზინა მსხილაძის დღიურ მაჩვენებელს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა და ა. მაჭავარიანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გზები და ხიდები

კარგი გზა ჩვენი სიამაყეა

გზა რესპუბლიკის არტერიაა. გზათა მშენებლობა, კარგად მოვლილი გზები ერის კულტურაზე მეტყველებს, თავის დროზე ქართველი ხალხის თავეკაცები ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები გამუდმებით ზრუნავდნენ საქართველოში გზათა მშენებლობისა და გზათა მოვლისათვის, მაგრამ მაშინ ეს მიიწვდომელ ოცნებას წარმოადგენდა. ახლოლდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი გზათა პატრონობა და ახალი გზების გაყვანა.

საქართველოს კონტრასტული რელიეფის გამო გზების მშენებლობა საკმაოდ სერიოზულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგად გზებისა და ხიდების მშენებლობის საქმე დღითიდღე უმჯობესდება.

გზების მოვლა-პატრონობა მშენებლობაზე ნაკლებ საგულისხმო როდია. ბევრმა არ იცის, რომ გზის მოვლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, და ეს არა ერთი ან ორი, ამ საქმეზე გამოყოფილი კაცის მოვალეობაა, არამედ მთელი საზოგადოებრიობისა.

მთავარი საავტომობილო გზები, რომლებიც შიდა კახეთის რაიონებს ემსახურება, განლაგებულია მდინარე ალაზნის ორივე მხარეს, თითქმის პარალელურად.

რესპუბლიკის ცენტრიდან კავშირი ხორციელდება გზებით, რომლებიც საგარეჯოზე და ციცინამბორზე გადის, რაიონთა შორის კავშირს კი უზრუნველყოფენ ალაზნის ნაპირებზე განლაგებული მარშრუტები და მათი ურთიერთ დამაკავშირებელი, მდინარე ალაზნის გადამკვეთი გზები.

მდინარე ალაზანს, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრიდან უერთდება მთების კალთებიდან ვლეფილ-ავენ მიმსერაფი მრავალი მდინარე და ხევი. ამ მდინარეთა მეტი წილი ზაფხულობით ძლივს მოედინება, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი ძლიერ მოდიდდებიან ხოლმე და როგორც ქვეითისათვის, ისე ტრანსპორტისათვის გაუვალი ხდებიან.

ეს გარემოება უკანასკნელ დროამდე ბნიშნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა საქართველოს ამ ერთ-ერთი მდიდარი კუთხის შემდგომი განვითარებისათვის. ხიდების უქონლობის გამო წუალდიდობის პერიოდში წყდებოდა არა მარტო ეკონომიური, საერთაშორისო კავშირი, არამედ ბევრ სოფელში ბავშვებს სკოლაში მისვლის საშუალება არა ჰქონდათ, რადგან ბევრგან ხევები და მდინარეები სოფლებს შუაზე კვეთენ.

1954 წლამდე ახმეტა-თელავ-ანაგის გზაზე არსებულ მრავალრიცხოვან ხევებსა და მდინარეებზე თითქმის არც ერთი ხიდი არ არსებობდა. ახმეტა-ყვარელ-ბუდიონოვკის გზაზე აგებული იყო მხოლოდ ერთი ხიდი ალვანთან მდინარე ალაზანზე.

კახეთის რაიონებში საავტომობილო გზების გაუმჯობესებასთან ერთად ჩქარი ტემპებით დაიწყო ხიდების მშენებლობაც.

1954 წლიდან დაწყებული კახეთის რაიონებში რკინაბეტონის ხიდების მშენებლობა გამოიცხლდა და ალაზანზე ალვანთან და ჭიაურთან ადრე აგებულ ხიდებს ლოკინსა და ჩაილერზე მრავალი ათეული ხიდი ამოუდგა გვერდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატაკეცილების მთავარმა სამმართველომ 1958 წელს ჩამოაყალიბა ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველო № 9, რომელიც შეუდგა იმ ფრიად საპატიო და კეთილშობილური დავალების შესრულებას, როგორიც არის ხიდების მშენებლობა.

1954 წლიდან 8 წლის განმავლობაში კახეთის რაიონებში სულ აგებული იყო 38 რკინაბეტონის ხიდი 1449,9 გრძივი მეტრი საერთო სიგრძით და 155 ცალი რკინაბეტონის მილი დაახლოებით 1500 გრძივი მეტრი საერთო სიგრძით. რაზეც სახარჯთაღრიცხვო ფასებით დახარჯა 3.354,4 ათასი მანეთი.

დღეს თბილისიდან ავტომობილით დაუბრკოლებლად შეიძლება მისვლა საგარეჯოში, შემდეგ სოღნაღში, იქიდან წყნორ-ლაგოდეხში, ყვარელში. თელავსა და ანაგას შორის იგივე მრავალი მილი და ხიდი. 1962 წლის სექტემბრიდან ამ გზაზე არც ერთი დაბრკოლება ხიდებისა და მილების მხრივ აღარ დარჩა. უკვე აიგო ხიდები ახმეტასა და თელავს, ყვარელსა და ბუდიონოვკას შორის და სხვა გზებზე.

გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ხიდების სამშენებლო სამმართველოს ჩამოყალიბების შემდეგ ხიდების მშენებლობის ტემპები იმდენად გაიზარდა, რომ თუ წინა ოთხი წლის განმავლობაში სულ აგებული იყო 422,2 გრძივი მეტრი, მარტო 1961 წლის განმავლობაში აიგო რკინაბეტონის ხიდები 301,5 გრძივი მეტრი საერთო სიგრძით, ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც აგებული იყო 1954-1957 წლების განმავლობაში.

წელს დამთავრდება ხიდების მშენებლობა კახეთის რამდენიმე მდინარეზე, რაც, როგორც ბევრი სხვა ხიდის აგება, მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება შეუფერხებელი და უსაშიშრო მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

კახეთის რაიონების მშრომელებს არაერთხელ ზეიმით აღუნიშნავთ ამ ხიდების გახსნა და სიტყვით და საქმით ღრმა მადლობა მიუძღვნიათ ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის ხალხზე უსაზღვრო ზრუნვისათვის.

ხიდების აგებაში დიდი თავდადება გამოიჩინა მე-9 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა. მან ოთხი წლის მანძილზე საგზაო ორგანოებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგი მუშაობით ექვსჯერ მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი ჯილდო.

ხიდების სარემონტო სამშენებლო მე-9 სამმართველოს უფროსი ამბ. ა. სეხნიაშვილი და მთავარი ინჟინერი ა. საგინაშვილი უნარიანად უძღვებიან საქმეს, უზრუნველყოფენ რთული დავალებების ვადაზე ადრე შესრულებას.

კოლექტივის ინჟინერ-ტექნიკოსებიდან საუკეთესოდ ითვლება უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ბერდო კაბაბერი, რომელმაც ბოლოდროინდელ ... [illegible] ... ტექნიკოსმა — სამეშაოთა-მწარმოებელმა გიორგი მეჯულიშვილმა.

დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან: ბეარმატიერე ნიკოლოს ინჩაგოვი, მეექსკავატორეები ვლადიმერ ლატინინი, ხალ. ბაბაბახშვილი და ოთარ კობაძიძე, მებულდოზერე მიხეილ გარსევანიშვილი, დურგალი მიხეილ გრემელაშვილი, ისინი 150-180 პროცენტით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს.

კახეთის რაიონებში ხიდების მშენებლობაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სპეცსამმართველომ, რომელმაც ამ პერიოდში ოთხი მნიშვნელოვანი ხიდი დაამთავრა და მეხუთეზე მუშაობს.

მთავარი სამმართველოს მუშაკები რწმენას გამოთქვამენ, რომ პირნათლად შეასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დავალებას კახეთის რაიონებში ხიდების დაჩქარებით მშენებლობის შესახებ, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში.

ბ. როგიტაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი.

ოქროს ფემოდგომა

რეპორტაჟი

იკრიფება რქაწითელი, საფერავი, მწვანე... ყურძნით დატვირთული ავტომანქანები ღვინის ქარხნის მარნისაკენ მიეჭრიან. რთველია ალაზნის ველზე... ნამდვილი მსუყე შემოდგომა დადგა ხირსაში.

თვალუწვდენ ვენახებს დიდი და პატარა შესცვივა, კუმს, დამკრახულ მტევნებს კრეფენ. იქით კი ახალგაზრდები მუშაობენ და თან მღერიან დიდი და უხვი შემოდგომის სადიდებელს. ყველა მუშის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა რთველი მოკლე ვადაში დაამთავრონ. ეს ჩვენი საოქტომბრო საჩუქარი იქნებაო. — ამბობენ ისინი.

ხირსელები დღეში 200-250 ტონა ყურძენს კრეფენ. უკვე 1.300 ტონამდე ყურძენი ჩაბარეს ხირსის ღვინის ქარხანას, ყურძნის კრეფაზე დღეში 400-მდე მევენახე მუშაობს.

— ყველა აგრუბანი მოწინავეა, — ამბობს მეურნეობის მთავარი აგრონომი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი თინათინ ნანობაშვილი, — მაგრამ ვ. ჩაჩნაშვილისა და დ. ალადაშვილის უბნები მაინც პირველობენ. ჩვენი მეურნეობის მთელი კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ რთველი ვადაზე ადრე დამთავრონ.

— 315 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი გვაქვს, — თქვა მეურნეობის დირექტორმა გ. ჯანგულაშვილმა, — გეგმით 1.400 ტონა ყურძენი უნდა მივცეთ სამშობლოს, მაგრამ ხირსელი მევენახეები განა გეგმას დასჯერდებიან? წელს ვენახეს კარგად მოვუარეთ, მაგრამ ზოჯერ ზაფხულის სიცხე აწუხებდა ვაზს, ალაზნის წყალიც ვერ შველოდა. მიუხედავად ამისა, მოსავალი მაინც შეგინარჩუნეთ. პირველად ვალდებულება აავღეთ 2.000 ტონა ყურძენი მიგვეღო, მაგრამ არც ვალდებულებას დავჯერდებით, 2.200 ტონა მაღალხარისხოვან ხირსულ ყურძენს მივცემთ დედა-სამშობლოს. ეს საოქტომბრო ვალდებულება დღესასწაულისათვის აუცილებლად შესრულდება.

ავტოტრანსპორტი არ გვყოფნისო, შემოგვჩივლა მეურნეობის დირექტორმა, მაგრამ იქვე დასძინა, ღვინის ქარხნის დირექტორის, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის ღ. ნაცვლიშვილის ინიციატივით თვითსაცლელი ავტომანქანები ... [illegible] ... ნების ძარა ისე მოვაყენეთ, რომ ვენახიდან კალათებით ... [illegible] ... გამოტანილი ყურძენი პირდაპირ ძარაში იყრება. ამით დიდ ეკონომიას ვაკეთებთ. ეს ჩვენ 1956 წლიდან დავნერგეთ. მაგრამ არც თვითსაცლელი ავტომანქანები გყოფნის.

ხირსის ღვინის ქარხნის დირექტორს ღ. ნაცვლიშვილს აინტერესებს, რომ ღვინომასალა უმაღლესი ხარისხისა იყოს.

— თქმა არ უნდა, ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების დაცვა მთავარია, მაგრამ ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ხარისხს, — ამბობს ღ. ნაცვლიშვილი. ამიტომ არის, რომ ლევანი ხშირად მიდის ხირსელთა ზვრებში და ადგილზე ამოწმებს როგორი შაქრიანობის ყურძენს კრეფენ, როგორ კრეფენ, დაცულია თუ არა ტექნოლოგიური წესები.

აბა ხირსის მარნებში შეიხედეთ, განცვიფრდებით. შვიდი ეგრეტუმბო გამუდმებით მუშაობს. მათს ხახაში იყრება რქაწითელი, საფერავი, მწვანე. შუშის მსხვილი მილებით წვენი და ჯაჭა ხის დიდი კასრებისაკენ მიდის, მტევნის ნარჩენი კლერტი კი იწნეხება დიდ მანქანებში და ავტომატურად იყრება ეზოში.

უზარმაზარ კასრებში, ბუტეხსა და ქვევრებში დუღს მაჭარი. პირველადადილი ქვევრები ბერიკაცებივით ბუხუნებენ, თითქოს ერთმანეთს ესაუბრებიანო. მაჭრის დამათრობელი სურნელებაა მარანში. სახემოღიმარი მუშები, მეღვინეები ზუსტად ტექნოლოგიური წესების დაცვით ამუშავებენ ყურძენს. ხუთრობა ხომ არ არის 6.000 ტონა ყურძნის გადამუშავება. ჩვენთან წუნს ადგილი არ უნდა ექნესო. — აცხადებენ ხირსელი მეღვინეები.

შოთა შაწილაშვილი ქვევრებს დასტრიალებს. კარგა ხანია იგი აქ მუშაობს და შესანიშნავად იცის ღვინის დაყენება, მიტო ქუსიკაშვილი კი პორტვეინის ღვინომასალის დაღვინებაზეა მიმაგრებული და ხან ერთ, ხან მეორე კასრთან არის.

— ხირსული ღვინო საუკეთესო ხარისხისა უნდა იყოს, — გვეუბნება მთავარი მეღვინე ვურამ გოგოსაშვილი.

— საამისოდ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, — უმატებს ქარხნის დირექტორი ლევან ნაცვლიშვილი.

ათვალიერებ მარანს, და ამ გამრჯე ადამიანებისა გჯერა. გჯერა, რომ ისინი მაღალი ხარისხის ღვინომასალას დააყენებენ.

იკრიფება რქაწითელი და საფერავი, იწურება დამკრახული ყურძენი, ქვევრებსა და ბუტეხში მოსჩქეფს ტკბილი წვენი. დუღს მაჭარი, ნაშრომს დაჰხარიან ხირსელები.

ბარაქალა თქვენს რთველს, ხირსელებო!

ვ. გოზალიშვილი.

ფოლადის მაგისტრალების მშვენება

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანა რესპუბლიკაში შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულების ინიციატორად გამოვიდა. ქარხნის კოლექტივი პირნათლად ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს. საწარმოო სიმძლავრე ათვისებულ იქნება ორი წლით ადრე — 1963 წლისათვის. სახიხარულოა აღინიშნოს, რომ მიმდინარე შვიდწლედში ელმავლების გამოშვების მხრივ საქართველო გაუსწრებს ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია.

მართალია, რვაღერძიან ელმავალ ნ 8-ის სერიული გამოშვება არც ისე დიდი ხანია რაც ითვისეს ნოვოჩერკასკისა და თბილისის ქარხნებმა, მაგრამ ტექნიკა სწრაფად ვითარდება, ამიტომ ელმავლის მთელი რიგი კვანძების კონსტრუქცია უკვე აღარ არის სრულყოფილი და ძირეულ გადამუშავებას, გაუმჯობესებას მოითხოვს. ამკამად ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილება სამეცნიერებთან ერთად მუშაობს რვაღერძიანი სერიული ელმავლის ნ 8-ის ცალკეული კვანძების კონსტრუქციის გაუმჯობესებაზე.

წვეის ძრავების დაცვის გაუმჯობესების მიზნით გასულ წელს ერთ-ერთ ელმავალზე განხორციელებულ იქნა გაუმჯობესებული სქემა 4 სწრაფმოქმედი კონტაქტორის „ბა“ გამოყენებით, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. წელს განზრახულია გამოვუშვათ ასეთი სქემის საცდელი რამდენიმე ელმავალი.

დამუშავებულია გაუმჯობესებული ჯგარმეჭერის კონსტრუქცია, აგრეთვე პლატმასის კოროშტეინი ელმავლის წვეის ძრავისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ამ კვანძის მუშაობას. განზრახულია ელმავლის საცდელი ნიმუშის გამოშვება.

ქარხნის კონსტრუქტორებმა ი. ივანიშვილმა და ნ. უსკოვამ გაუმჯობესეს ბუქსაობის რელეს კონსტრუქცია, რის შედეგადაც მოწეულია ამ აპარატის მგრძნობიარობის გაზრდა, გაბარიტული ზომების, წონის შემცირება და 60 პროცენტი სპილენძის ეკონომია.

საგარეჯოს საამქროს უფროსმა ვ. გეგენავამ და ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ე. ამირაგოვმა ელმავალზე გაუმჯობესეს დაბრკოლებაჩამბრობი დროსელის ჩართვის სქემა, რითაც ნახევრად შემცირდა ამ აპარატების რაოდენობა.

ამ ღონისძიებამ საწარმოს წელიწადში 15 ტონა სპილენძი დაუზოგა.

სერიოზული ყურადღება ეთმობა წარმოებაში პლასტმასის ნაკეთობათა დანერგვას. გასული წლის სექტემბერში გამოშვებულ იქნა ელმავლების საცდელი ნიმუშები ნ 8-440 და ნ 8-441, რომლებზეც დაყენებულია მართვის გენერატორები პლასტმასის კორპუსიანი კოლექტორებით. ამ ელმავლების საექსპლოატაციო გამოცდამ კარგი შედეგები მოგვცა.

წელს განზრახულია გამოშვებულ იქნას ელმავლის საცდელი ნიმუშები, რომლებზეც დაყენებული იქნება წვეის ძრავები, კომპრესორის და ვენტილატორის ძრავები პლასტმასით განხოლოებული კოლექტორებით. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ელმავლის თვითღირებულება და უფრო საიმედო გავხადოთ მისი მუშაობა.

ელმავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ძირითადი კვანძების მუშაობის გახანგრძლივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ელმავალმშენებლობაში პროგრესული საიზოლაციო და ელექტროტექნიკური მასალების დანერგვას. გასული წლის ბოლოსათვის ელექტროსამანქანო საამქროში დაინერგა თერმრეაქტორული ლაქით ელექტრომანქანების ღუზების გაღებვნთვა, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ელექტრომანქანების ხარისხი.

ჩვენი ელმავალსამშენებლო და რიგის ელექტრომანქანათსამშენებლო ქარხნების კოლექტივების შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად ეაწარმოეთ ცდები ელექტრომავლის მანქანათმშენებლობაში ფართად ფირებული მიკალენტის ნაცვლად ახალი პროგრესული საიზოლაციო მასალის — მინაესკაპონის დასანერგავად.

აღსანიშნავია, რომ ამკამად გამოყენებულ მიკალენტთან შედარებით მინაესკაპონს საიზოლაციო თვისება ორჯერ მაღალია, მისი მექანიკური სიმტკიცე 4-ჯერ მეტია, ხოლო თვითღირებულება 5-ჯერ ნაკლები.

მისი შემდგომი ფართოდ დანერგვა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ღუზის სექციების და პოლუსის კოჭების განმხოლოების პროცესის მრეამტეკადე სამუშაოების მექანიზაცია.

ამ ღონისძიების დანერგვა ქარხანას წლიურად მისცემს რამდენიმე მილიონ მანეთ ეკონომიას და ბევრად უფრო საიმედოს გახდის ელმავლის ექსპლოატაციას.

შარშან და წელს ამ ახალი საიზოლაციო მასალის გამოყენებით გამოშვებულ იქნა ელმავლის ნ 8 საცდელი ნიმუშები, რომლებიც ამჟამად საექსპლოატაციო გამოცდას გადის. მიმდინარე წელს ბოლოსათვის განზრახულია გამოვუშვათ ელმავლების საცდელი პარტია, რომელთა გამოცდის შემდეგ გადაწყდება საკითხი მინაესკაპონის სერიულ წარმოებაში დანერგვის შესახებ.

ელმავალ ნ 8-ის ხანგრძლივი საექსპლოატაციო გამოცდა გვიჩვენებს, რომ მას აქვს არადამაკმაყოფილებელი ვერტიკალური დინამიკა. ამ კონსტრუქციული ნაკლის გამოსასწორებლად წელს გამოშვებულ იქნა ორი საცდელი ნიმუში რვაღერძიანი ელმავლის სარესორო დაკიდების სისტემის გაუმჯობესებული კონსტრუქციით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ელმავლის დინამიკურ თვისებებს. ამ ელმავლების გამოცდის შემდეგ გადაწყდება გაუმჯობესებული კონსტრუქციის სარესორო სისტემის წარმოებაში სერიული დანერგვის საკითხი.

გზათა სამინისტროს ბრძანებით გათვალისწინებულია წელს ამერიკაკავკასიის რკინიგზაზე ფართოდ დაინერგოს მძლავრი რვაღერძიანი თბილისური ელმავალი ნ 8. პირველ რიგში განზრახულია მისი გამოყენება სურამის უღელტეხილზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მატარებლების წონას და მოძრაობის სიჩქარეს; შემოღებულ იქნება ერთიანი წონის მატარებლები როგორც გზის ვაკე უბანზე, ისე სურამის უღელტეხილზე.

ამერიკაკავკასიის რკინიგზაზე გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მუშაობა მძლავრი რვაღერძიანი ელმავლის დანერგვისათვის. წარმოებს ენერგომომარაგების სისტემის გაძლიერება, სადგურების ლიანდაგების სიგრძის მომატება და სხვ. ამ ახალი ელმავლების დანერგვით „გასწორდება“ სურამის უღელტეხილი. შემდეგში რვაღერძიანი ელმავლის გამოყენების ფარგლები გაიზრდება თბილისი-სამტრედიის უბანზე. ხაშურის ელექტრომავლების დეპოში უკვე გაიგზავნა სამი რვაღერძიანი ელმავალი ნ 8.

სერიული ელმავლების წარმოების გაფართოებასთან ერთად ქარხნის კოლექტივი ახალი, უფრო სრულყოფილი, გაუმჯობესებული ელმავლებს შეიმუშავებს. ამ ელმავლებზე ... [illegible] ... ტრუქციის ელმავლების შექმნაზე მუშაობს.

შარშან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად ქარხანამ თბილისური მარკით გამოუშვა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დაპროექტებული ახალი უფრო მძლავრი რვაღერძიანი ელმავალი ტ 8, რომელიც წარმატებით ჩაებარა გამოცდა სამხრეთ ურალის რკინიგზისა და მოსკოვის საცდელ რგოლზე; ასევე წარმატებით ჩაიარა გამოცდამ კელასურ-დრანდის და ხაშურ-ახალდაბის უბნებზე.

ახალი ელმავლის სიმძლავრე ელმავალ ნ 8-ის სიმძლავრეს 25 პროცენტით აღემატება, მისი კონსტრუქციული წონა 8 ტონით ნაკლებია, ხოლო საათობრივი და ხანგრძლივი სიჩქარე — მაღალი.

ელმავალი აღჭურვილია რვა ტლ-2 ტიპის წვეის ძრავით, რომელიც შექმნეს თბილისელმა ელმავალმშენებელმა. მისი სიმძლავრე 125 კილოვატით აღემატება სერიული ელმავლის წვეის ძრავის სიმძლავრეს, ხოლო ძრავის წონა 700 კილოგრამით ნაკლებია. ახალი ელმავალი ტ 8 მსოფლიო ელმავალმშენებლობის ტექნიკის განვითარების დონეზე დგას და მისი დანერგვა სოციალისტურ ტრანსპორტს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გაზარდოს მატარებლების წონა, მოძრაობის სიჩქარე და რკინიგზების ხაზების ტვირთნადვილისა და გამტარებლობის უნარი.

წელს ქარხანა დამატებით კიდევ გამოუშვებს ელმავალ ტ 8-ს ორ საცდელ ნიმუშს, გაისად განზრახულია სასინჯი პარტიის — რამდენიმე ელმავლის გამოშვება, ხოლო 1964 წლიდან იგი წარმოებაში სერიულად დაინერგება.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში დღემდე არ არის ათვისებული სამგზავრო ელმავლების წარმოება, ისინი კი აუცილებელია სამგზავრო მატარებლების მოძრაობის სიჩქარის გასაზრდელად.

პირველი სამგზავრო ელმავლის პბ-21-ის საცდელი ნიმუში გამოშვებულ იქნა მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ მიერ ჯერ კიდევ 1934 წელს, მაგრამ მთელ რიგ კონსტრუქციულ ნაკლოვანებათა გამო იგი არ იქნა სერიული წარმოებისათვის მიღებული. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა საკავშირო მთავრობისაგან მიიღო სამატიო დავალება — შექმნას 4-ღერძიანი ცვლადი დენის სამგზავრო ელმავალი ტ 40, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე, 160 კილომეტრია საათში.

სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ თბილისის სამეცნიერო-საკვლევ ელექტროტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად შეადგინა ელმავალ ტ 40-ს პროექტი, რომელიც წელს თებერვალში დამტკიცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის კომიტეტმა და გზათა სამინისტრომ. ამკამად მიმდინარეობს სამუშაო ნახაზების შედგენა და ელმავლის ცალკეული კვანძების დამზადება ლითონში. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ უკვე ჩამოასხა ფოლადის სხმული ამ ელმავლის წვეის ძრავისათვის. რომლის სიმძლავრე 1.800 კილოვატამდე ი

გულთბილი შეხვედრები

ზაგრები, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით საბჭოთა კოსმონავტმა მფრინავმა გ. ს. ტიტოვმა გაისეირნა ბლედის ტბის გარშემო, შემდეგ გაემართა ქალაქ ზაგრებში, რომელიც იუგოსლავიის მეორე ქალაქია სიდიდის მხრივ. აქ საბჭოთა სტუმარს შეხვდნენ ხორვატიის აღმასრულებელი ვეჩის მდივანი იური ივეზჩრი, საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ა. მ. პუზანოვი.

პრეკრიჟიეს ვილაში საბჭოთა კოსმონავტი შეხვდა ზაგრებელ ჟურნალისტებს და პასუხი გასცა მათ მრავალ შეკითხვაზე.

ნაშუადღევს გ. ს. ტიტოვმა ინახულა ზაგრების საერთაშორისო სამრეწველო გამოფენა. მან დიდი ინტერესით დათვალიერა საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პავილიონები. შემდეგ გერმანე ტიტოვმა გაისეირნა ქალაქში და ეწვია სტუდენტთა ცენტრს. ზაგრების მცხოვრებნი ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა კოსმონავტს.

საღამოს გ. ს. ტიტოვი და მისი თანმხლები პირები ზაგრებიდან ბელგრადს გაემგზავრნენ.

ვიცხოვროთ მშვიდობითა და მეგობრობით

თეირანი, 17 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ნოტების გაცვლას ირანის იმ ვალდებულების შესახებ, რომ არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე უცხოეთის რაკეტული ბაზების შექმნა, გაცხოველებით უკეთებს კომენტარს თეირანის პრესა.

გაზეთი „ქეიხან ინტერნეიშნლი“ წერს, რომ „ირანის დაპირება საბჭოთა კავშირის წინაშე იმის შესახებ, რომ სხვა ქვეყნებს არ დართავს ნებას იქონიონ რაკეტული ბაზები ირანის ტერიტორიაზე ან გამოიყენონ ირანი ბაზად რუსეთის წინააღმდეგ ზეიმედებისათვის, გაცვლა გზას გაკაფავს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, ხელს შეუწყობს რეგულარულ კულტურულ, ტექნიკურ და სავაჭრო გაცვლას.

საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესებისათვის

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი) საბჭოთა კავშირის წინადადებაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე როგორც სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი განიხილონ პუნქტი, რომელიც დასათაურებულია: „საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ვაჭრობის პრობლემებზე“, თხოვნას, რომ ეს საკითხი შეტანილ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის დღის წესრიგში, შეიცავს წერილი, რომელიც გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელს უ თანს გაუგზავნა.

წერილს დართული აქვს „განმარტებითი ბარათი“, რომელშიც ნაზგასმულია: საერთაშორისო კონფერენციას ვაჭრობის პრობლემებზე, რომლის მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ შეიქმნას მუდმივად მოქმედი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა რაიონსა და ქვეყანას მოიცავს, ისე, რომ არ მიმართავს რაიმე დისკრიმინაციას, შეუძლია სეროზულად შეუწყოს ხელი ვითარების გაჯანსაღებას მსოფლიო ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას,

საშუალებას აძლევს ორივე ქვეყანას ითანაარსებონ მშვიდობით და გაუმჯობესონ თავიანთი ურთიერთობა“.

ჩვენი აზრით, აცხადებს გაზეთი, ნოტების თითოეული ნორმალიზაციისათვის, ხელს შეუწყობს რეგულარულ კულტურულ, ტექნიკურ და სავაჭრო გაცვლას.

სსრ კავშირის დახმარებით

დელი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ნანდამპაკაშში, მადრასის მახლობლად, საზეიმო ვითარებაში ჩაუყარეს საფუძველი ქირურგიული ხელსაწყოების ქარხანას, რომელიც აიგება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი მოწყობილობით. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს 180 სახეობის 2,5 მილიონ ცალ ქირურგიულ ხელსაწყოს. ქარხნის შენებლობაზე იმუშავებს 30-მდე საბჭოთა სპეციალისტი.

საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა კ. ჩ. რედიმ.

ჩვენი პოლიჯიკის დროშა

ჩაფალით მიწაში მშვილდები...
მოსწიეთ მშვიდობის ჩიბუხი...

ლენინ რა დიდებულად ჟღერს გასული საუკუნის ამერიკელი პოეტის ჰენრი ლონგფელოს ეს სიტყვები, როცა თავისუფლების კუნძულის ცა კვლავ იფარება ომის საფრთხის შავბნელი ღრუბლებით, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უაღრესად მხურვალე, ძმური სოლიდარობას უცხადებს მამაც კუბელ ხალხს იმ პროვოკაციათა პასუხად, რომელსაც აგრესორები ამზადებენ.

უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო ფორუმმა. დედამიწის ყველა ნაწილიდან, პოლუსიდან პოლუსამდე კეთილი ნების ადამიანთა გულისყური, განურჩევლად კანის ფერისა, რელიგიური და პოლიტიკური რწმენისა, მიპყრობილი იყო საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობისადმი. კაცობრიობა, რომელიც არასოდეს ასე ახლოს არ ყოფილა ბედნიერებასა და კატასტროფასთან, რწმენით უსმენდა მოსკოვს, როგორც მშვიდობიანობა და ხალხთა მეგობრობის დიდ ეპიცენტრს.

დრო ვიმოქმედოთ! ამ ორი სიტყვისაგან შედგება ის დიდი აზრი, რითაც დამთავრდა მშვიდობის მსოფლიო კონგრესი. **ერთიანობა, დარაზმულობა, მოქმედება!** — ეს დასკვნა, რომელიც ერთნაირად გაკეთეს მშვიდობისათვის ბრძოლაში ქართველმა მეჩიიემ თუ ფლორიდელმა მეშაღემ, ბენზოლმა მეასათემ თუ ლონდონელმა დოკერმა, ბაქოელმა მეგაეთობემ თუ ავსტრალიელმა მეცხვარემ...

კონგრესის დღეებში ასეულ მილიონობით მშვიდობასმოწყურებულ ადამიანთა თვალში ალიდეკ უფრო ამაღლდა საბჭოთა სახელმწიფოს როლი და ავტორიტეტი, როგორც ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრი ბასტიონისა. კონგრესის დელეგატებმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეზნებარე გამოსვლაში, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის პერიოკაში ერთხელ კიდევ ცხადად იგრძნეს **დიდი სიმართლე ვ. ი. ლენინის** სიტყვებისა: **„მახვილი ჩვენი ემბლემა არ არის!“.** მათ ეს იგრძნეს როგორც მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ისე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, რუსთაველი ცნობილი მეფოლეოდის ამირან ფანცალაიას შრომაში, მასთან საუბარში. საბჭოების ქვეყნის ნამდვილი ემბლემაა ნამგალი და ურო — მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიმბოლო.

დედამიწის ასეულ მილიონობით ადამიანთა თვალში თავის ავტორიტეტსა და პრესტიჟს ჩვენი სამშობლო უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საბჭოთა სახელმწიფო, კომუნისტური პარტია ყოველთვის იცავდნენ და იცავენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს. ეს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთადერთი მოძღვრებაა, რომელიც შეესაბამება ჩვენი ეპოქის ისტორიულ პირობებს და რომლის საფუძველზე შეიძლება შეინარჩუნოთ მშვიდობა.

ომი ვიმოქმედოთ! ეს ორი სიტყვისაგან შედგება ის დიდი აზრი, რითაც დამთავრდა მშვიდობის მსოფლიო კონგრესი. **ერთიანობა, დარაზმულობა, მოქმედება!** — ეს დასკვნა, რომელიც ერთნაირად გაკეთეს მშვიდობისათვის ბრძოლაში ქართველმა მეჩიიემ თუ ფლორიდელმა მეშაღემ, ბენზოლმა მეასათემ თუ ლონდონელმა დოკერმა, ბაქოელმა მეგაეთობემ თუ ავსტრალიელმა მეცხვარემ...

კონგრესის დღეებში ასეულ მილიონობით მშვიდობასმოწყურებულ ადამიანთა თვალში ალიდეკ უფრო ამაღლდა საბჭოთა სახელმწიფოს როლი და ავტორიტეტი, როგორც ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრი ბასტიონისა. კონგრესის დელეგატებმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეზნებარე გამოსვლაში, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის პერიოკაში ერთხელ კიდევ ცხადად იგრძნეს **დიდი სიმართლე ვ. ი. ლენინის** სიტყვებისა: **„მახვილი ჩვენი ემბლემა არ არის!“.** მათ ეს იგრძნეს როგორც მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ისე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, რუსთაველი ცნობილი მეფოლეოდის ამირან ფანცალაიას შრომაში, მასთან საუბარში. საბჭოების ქვეყნის ნამდვილი ემბლემაა ნამგალი და ურო — მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიმბოლო.

ომების სისხლიანი წრე, რომელშიც კაცობრიობა განწირულივით ტრიალებდა: ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალში გარღვეულ იქნა. მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების უკვე თვით ფაქტი ნიშნავდა, რომ ომების წამომწყებთა გზაზე უდიდესი დაბრკოლება აღმართა. იგი სულ უფრო გადაუღახავი ხდებოდა, რაც უფრო მტკიცდებოდა საბჭოების ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, რაც უფრო იზრდებოდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა.

ჩვენი ხალხი არა მარტო წიგნებით, არამედ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულ ყოველდღიურ საქმიანობაში პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოსათვის მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობა ორგანულ მოთხოვნილებას წარმოადგენს. ცნობილია, რომ სოციალისტური საზოგადოება ხალხის მასების ძირეულმა ინტერესებმა წარმოშვა. მუშა, გლეხი არასოდეს არ შეიძლება დაინტერესებული იყოს დამპყრობლური ომების გაჩაღებით. ომი მთელი სიმძიმით აწვება მხრებზე მშრომელს. სწორედ უბრალო მშრომელი იხდის თავის მცირე შემოსავლიდან ომის მომზადებისა და წარმოების ხარჯებს. მას გააგდებენ ხოლმე ფრონტზე, აიძულებენ გადაიტანოს ომის ყველა საშინელება.

სოციალიზმმა, რომელიც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა, ქვეყნებს შორის ურთიერთობის პრინციპულად ახალი სიფუძვეი შექმნა. ამ საფუძველს შეადგენს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი.

თუ მოკლედ განვსაზღვრავთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის არსს, იგი უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ხელის აღებას ომზე, როგორც საერთაშორისო სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებაზე. სხვა ქვეყნებზე თავდასხმელობის ვალდებულების გარდა, მშვიდობიანი თანაარსებობის ცნება შეიცავს სახელმწიფოთა მოვალეობას არავითარი ფორმით არ დაარღვიონ ერთმეორის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია ხელის აღება სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევაზე, რა მოტივით და რა საბაბითაც არ უნდა იყოს იგი, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა შედგებოდეს მხარეთა სრული თანასწორობისა და ურთიერთ ხელსაყრელობის საფუძველზე.

იმპერიალისტური დიპლომატია წლების განმავლობაში ცდილობდა გზა დაეხშო ამ პრინციპისთვის საერთაშორისო ურთიერთობაში. მაგრამ ამაოდ. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპმა, რომელიც ყველა ქვეყნის, ყველა ასაკისა და პროფესიის, ყველა პოლიტიკური შეხედულების და რელიგიური რწმენის უბრალო ადამიანთა ყველაზე ღრმა, ყველაზე სასიცოცხლო მოთხოვნილებებს შეესაბამება, გზა გაკაფა ხალხთა გულისაკენ და მსოფლიო ასპარეზზე მძლავრი მატერიალური ძალა გახდა.

დღეს მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ომისშემდგომ პერიოდში არაფერი ისე არ წამლავს საერთაშორისო ვითარებას, როგორც ყბადაღებული „ცივი ომი“ — „ძალის პოზიციის“ იმპერიალისტური პოლიტიკის ეს საზიზღარი ნაშიერი. ომის გამჩაღებლებს სურთ ანუწყვეტლივ აყოლიონ ხალხები შიშისა და ურწმენობის მდგომარეობაში, ჩაუნერგონ მათ ფიქრი ომის გარდუვალობის შესახებ, აიძულონ ისინი შეიარაღების მორეკვით ყარონ სულ უფრო მეტი სახსრები და, რაც მთავარია, შესაძლებლობა მისცენ ძველი სამყაროს განწირულ ძალებს შეენარჩუნონ თავიანთი პოზიციები, შეაჩერონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ ქვეყნებში, მოამზადონ ომი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ — ასეთია ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის არსი.

ჩვენს დროში მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემაა განიარაღება. იმპერიალიზმის მძარცველურ პოლიტიკას თან ახლავს გაუკონარი მილიტარიზაცია. ჯერ კიდევ აღრე, როცა იმპერიალიზმი ის-ის იყო ფეხს იდგამდა და იარაღს ისხამდა მსოფლიოს ხელახლი გადანაწილებისათვის, დიდმა ქართველმა ილია ჭავჭავაძემ გამუდმებულ შეიარაღებას კაცობრიობის „დაუხანებლად მოსარჩენი სატკივარი“ უწოდა. „უკეთესი ნაწილი ერისა, — წერდა ილია, — და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღე-ყოველ და ამ ნაწილს ერისსა და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფ-იარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან“.

გავიდა წლები...

მაგრამ „დაუხანებლად მოსარჩენი სატკივარი“ ისევ გრძელდება, კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია დღისით, მზისით ამზადებს კაცობრიობის წინაშე განწირულთა შეთქმულებას. ომისთვის მზადება არასოდეს არ წარმოებდა ისეთი გიგანტური მასშტაბებით, როგორც ახლა. სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების — „სიკვდილით მოვაჭრეთა“ ეს აღვირახსნილი ხროვა გააფთრებით აღვივებს გამალებულ შეიარაღებას. ხალხები ილაჯგაწყვეტილნი ყოველწლიურად ეწევიან 120 მილიარდი დოლარის სამხედრო ჯეპანს. დღეს ჩვენი დედამიწის 20 მილიონზე მეტი მცხოვრები მსახურობს შეიარაღებულ ძალებში. 100 მილიონზე მეტი კაცი ოფლში იწურება ომისათვის მზადებაში, ჩვენი პლანეტის თვითეული მცხოვრებზე მომარაგებულია 80 ტონაზე მეტი ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც ადამიანს კი არა, მყინვარს მოაქრობს დარიალამდე!

ამიტომაც მილიტარისტების მოქმედებით აღშფოთებული კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები სულ უფრო მაღლებენ თავიანთ ხმას გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის ყველა დელეგატმა, მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანმა დიდი ყურადღებით მოისმინა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მეზნებარე სიტყვა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საბჭოების ხელისუფლებამდე არსებულ ისტორიას არ ახსოვს ფაქტი, რომ სახელმწიფოს წამოეყენებინოს წინადადება საყოველთაო განიარაღებაზე, მუდმივი არმიების მოსპობაზე. ჩვენმა ქვეყანამ, რომელსაც დიდი ლენინი ხელმძღვანელობდა, ორი სისტემის პირველ საერთაშორისო დიპლომატიურ შეტაკებაშივე — 1922 წელს გენუის კონფერენციაზე დასვა საკითხი საყოველთაო განიარაღების შესახებ. ბაშინ საბჭოთა სახელმწიფოს ამ სამშვიდობო წინადადებას ბევრი ჩვენი ქვეყნის ხასიათი ხსნიდა. მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა. ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება ტუალის სამხახიანი შაშხანიდან თერმოატომური და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ იარაღამდე ამაღლდა. მაგრამ საბჭოთა პოზიცია განიარაღებაზე პრინციპულად ისეთივე დარჩა, როგორც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა.

ამერიკის აგრესიული წრეების მიერ კუბაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საკდესის განცხადებაში საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ მშვიდობის ბანმტკიცების გზაზე და მკაცრად გააფრთხილა ომის გამჩაღებლები. ამასთან ჩვენი ქვეყანა კვლავ უწყვდის მეგობრობის ხელს შეერთებულ შტატებს. მისი მიზანია გადაეჭრას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი, გერმანიის საზავო ხელშეკრულების პრობლემა, დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის, რათა გაიწმინდოს საერთაშორისო ვითარება „ცივი ომის“ ზავისაგან.

საკდესის განცხადებაში ნათლად ჩამოყალიბებულია საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთელი შინაარსი. მისი დროშაა მშვიდობა.

საბჭოთა ადამიანებს შეგნებული აქვთ, რომ დიდი ჰუმანური პრინციპების საბოლოო დამარცხების მიღწევა, დედამიწაზე საიმედო მშვიდობის დამყარება იოლი როდია. მათ იციან, რომ მსოფლიოს სოციალისტური ნაწილის ფარგლებს გარეთ ჯერ კიდევ არსებობენ გავლენიანი იმპერიალისტური წრეები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მაგრამ ახლა, როცა არსებობს მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელმაც თავისი დროშების ქვეშ კაცობრიობის ერთი მესამედი გაიერთიანა, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას აქტიურად უჭერს მხარს აზიისა და აფრიკის ათობით ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, როცა ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში ფეხზე დგებიან და სულ უფრო მძლავრი ხდებიან მშვიდობის საქმის დამცველი საზოგადოებრივი ძალები, იქმნება ყველა აუცილებელი პირობა მეატომე მანიაკების, ასალგამვად.

დღეს ამაოა იმათი ფიქრი, ვინც ბალანსირობს „ომის ზღვარზე“. კაცობრიობა არ დარჩება ბედნიერებისა და კეთილდღეობის ზღვარზე. ისტორია ი. კრილოვის ცნობილი ეგავ-არაკის ფორნი როდია გედის, კიბორჩხალისა და ქარიყლაპიის ამარა. კაცობრიობას მშვიდობისაკენ დასძრავენ ხალხთა მასები, ეპოქის მოგლენის შუაგულში დგას ყველაზე მოწინავე კლასი — მუშათა კლასი, რომელმაც სტარტი აიღო 1917 წელს „ავრორას“ ქუხილში. მისი ავანგარდია კომუნისტური პარტია, რომელმაც არა მარტო იცის სამყაროს შეცნობა, არამედ იცის მისი გარდაქმნაც.

კაცობრიობას აქვს მომავალი და ეს მომავალი კომუნიზმია.

ბ. ნაბუეგია.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი განიარაღების საკითხთა კომიტეტის სხდომებზე ჟენევაში.

ნახატი ჟურნალ „ტვორბადან“, პრაღა.

კუბის მხარეზე

50 თვალსაჩინო ამერიკელის განცხადება

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დაახლოებით 50 თვალსაჩინო ამერიკელმა, მათ შორის ფილოსოფოსმა ერიკ ფრომმა, მწერალმა ლუის მამფორდმა, კონგრესის ყოფილმა წევრმა ჩარლზ პორტერმა, გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც გმობს სამხედრო ავანტიურებს კუბის მიმართ.

განცხადებაში ნაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრა კუბაში შეიძლება გადაიზარდოს მსოფლიო ომად და საერთაშორისო მასშტაბით იქნებოდა ამორალური აქტი და იმ ვალდებულებათა დარღვევა, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა იკისრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წიგნაში.

მთელი მსოფლიოს მშვიდობა, განაგრძობენ განცხადების ავტორები, დამოკიდებულია არსებული საერთაშორისო სამართლისა და არსებული საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემაზე. კუბაში შეჭრა ძირს გამოუთხრიდა ამ პრინციპებს და შეცვლიდა მათ უკანონობითა და შიშველი ძალის ბატონობით, ამით მთელ მსოფლიოს დაუახლოვებდა ატომური ომის ზღვარს.

განცხადების ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს ათობით ბაზა საბჭოთა კავშირის გარშემო, იცავენ გუანტანამოს ბაზას კუბაში იმ დროს, როცა „არ არის არავითარი ცნობა, რომელიც მოწმობდეს რუსების ბაზის არსებობას კუბაში“, და „მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის“ მოუწოდებენ მოწესრიგდეს ურთიერთობა კუბასთან და წარმოებდეს შეჯიბრება კომუნიზმთან „არა ომის, არამედ მშვიდობის პირობებში“.

თათბიროობენ მინისტრები...

ბონი, 15 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

გამალებული შეიარაღების შემდგომ გაძლიერებას მიეცემა სახმელეთო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჰილპატრიკსა და დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრ შტრაუსს შორის, რომელიც ბონში გაიმართა.

ყურადღების ცენტრში იყო ატლანტიკის სამხედრო ბლოკის სტრატეგიის საკითხები. როგორც აღნიშნულია მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, შტრაუსმა და ჰილპატრიკმა „საპროდ“ ცნეს კიდევ უფრო გაიზარდოს ნატოს სამხედრო ძალიერება ამ სამხედრო ბლოკის „ახლანდელი მიზნების“ შესაბამისად. ისინი თავგამოდებით იცავენ „დაშინების“ სტრატეგიას და მოითხოვენ შეიქმნას „ევროპაში ძლიერი და კარგად დაცული ატომური შეიარაღებული ძალები“. ამ ფრაზიდან პოლიტიკურ მეთვალყურეებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქში გამოაქვთ დასკვნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებს მთავრობამ დაამყაროს „ატომიანი შტრაუსის მოთხოვნები „ნატოს რეფორმის“ შესახებ, რომლებშიც იმალება ბონის მისწრაფება — მოიპოვოს მასობრივი მოსპობის იარაღი ბუნდესვერისათვის; ამას დღეს აშკარად ამბობს დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“. „თავდაცვის სამინისტროდან იუწყებიან, — წერს იგი, — რომ ჰილპატრიკის ნათქვამში გამოვლინდა, რომ ამერიკის მთავრობაში სულ უფრო იკიდებს ფეხს იდეა — შეიქმნას ნატოს ატომური სახელმწიფო, რომელიც მრავალმხრივ კონტროლს დაექვემდებარება.

ცნობილია, რომ ასეთი „მრავალმხრივ კონტროლს დაქვემდებარებული ნატოს ატომური სახელმწიფოს“ შექმნის გეგმა შტრაუსის ატომური სტრატეგიული კონცეფციის ქვაკუთხედია. გაზეთ „დი ველტს“ აგრეთვე მიაჩნია, რომ ატომური გეგმების დარგში ბონის სამხედრო მოლაპარაკების შედეგები „ამერიკელთა გარკვეული დათმობაა“ დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის მოთხოვნების გამო. ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ აგრეთვე კომუნიკეს სიტყვები, რომ „ევროპას ესაჭიროება ჩვეულებრივი და ატომური შეიარაღების გაწონასწორებული სისტემა“, რომელიც „მოქნილობას“ უზრუნველყოფს ნატოსათვის. ამ „სისტემაში“ მთავარი ყურადღება ეძლევა, რომ პირველ რიგში ატომური პოტენციალი გაიზარდოს. დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეების აზრით, აღნიშნავს „დი ველტი“, ნატოს ჯარების გაძლიერების გეგმებში „საქმე კერძოდ, უნდა ატომური რაკეტების როდენლინის გადდებას“ ევროპაში.

ჰილპატრიკისა და შტრაუსის მოლაპარაკების შედეგებს აშკარა კმაყოფილებით შეხვდნენ ბონში, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეებში.

მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ამერიკული შეიარაღების შემდგომ შესყიდვას ბუნდესვერისათვის. როგორც „ფრანკფურტერ ალგემაინე“ ნაზგასმით აღნიშნავს, შტრაუსმა პირობა მისცა თავის მოსაუბრეს, რომ ბუნდესვერი მომავალ წელსაც აპირებს გადასცეს შეკვეთები ამერიკული იარაღის შესაძენად. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბუნდესვერი ამერიკის შეერთებული შტატებიდან თითქმის 3 მილიარდი მარკის იარაღს იღებს წელიწადში. ფიქრობენ, რომ 1963 წელს სამხედრო შეკვეთების თანახ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ შემცირდება.

ჰილპატრიკმა შემდეგ განუცხადა შტრაუსს, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ მისცენ ნატოს „კიდევ უფრო მეტი ატომური წყალქვეშა ნავი“, აღჭურვილი „პოლარისის“ რაკეტებით.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ათენი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ავგიმ“ გამოაქვეყნა ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ადმინისტრაციული კომიტეტის თეზისები პარტიის მომავალი II ყრილობისათვის.

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის I და II ყრილობებს შორის განვლილი სამი წლის პერიოდის დამახასიათებელი თავისებურებაა, ნათქვამია თეზისებში, რეპრესიების გაძლიერება და შემოტევა მმართველი პარტიის მხრივ, რომელიც ხედავს მზარდ სახალხო ბრძოლასა და დემოკრატიული მოძრაობის საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერებას და ცდილობს მოსპოს დემოკრატიულ თავისუფლებათა უკანასკნელი ნაშთები საბერძნეთში, შექმნას არსებითად ფაშისტური სახელმწიფო, რათა დაკმაყოფილოს უცხოეთისა და ადგილობრივი მონოპოლიების და ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ომის მოტრფიალე ავანტიურისტული აგრესიული წრეების ინტერესები. ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტია იბრძოლებს უკანონო მთავრობისა და მისი პოლიტიკის — დამოკიდებულებისა და მორჩილების პოლიტიკის წინააღმდეგ.

თეზისების კარში საერთაშორისო საკითხების შესახებ ნაზგასმულია, რომ ატომური იარაღის გამოცდის განახლება კოსმოსში, პროვოკაციები დასავლეთ ბერლინში, „უ-2“ თვითმფრინავების ჯაშუშური ფრენის განახლება, აშკარა ინტერვენციის მზადება კუბის წინააღმდეგ კაცობრიობის მიიყვანს დამღუპველ ატომურ ომამდე.

□ ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა გუშინ პოლარულ ორბიტაზე გაუშვეს „საიდუმლო“ თანამგზავრი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგგენტოს კორესპონდენტი ვანდენბერგის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იუწყება, სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა უარი თქვეს აღენიშნათ, თუ რა ტიპისა და დანიშნულების არის ეს თანამგზავრი.

□ პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ახალგაზრდა ფრანგი მიშელ სიფრი, რომელმაც 2 თვე გაატარა საფრანგეთის ალპების მთის მღვიმეში, გუშინ ზედაპირზე ამოიყვანეს.

სიფრი მღვიმეში ჩაეშვა, რათა შეესწავლა მიწისქვეშა ყინვარი. გარდა ამისა, მკვლევარს აინტერესებდა ხანგრძლივი მარტოობის ზეგავლენა ადამიანის მიერ დროის შეგრძნების დაკარგვაზე.

ტერორი სამხრეთ როდეზიაში

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს პოლიციამ ცეცხლი დაუშინა აფრიკელებს ხარაში — სამხრეთ როდეზიის ადმინისტრაციული ცენტრის სოლსბერის გარეუბანში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგგენტო იუწყება, იმ ადგილის ახლოს, სადაც მიმდინარეობდა მიტინგი, რომელიც მოაწყო მკვიდრი მოსახლეობის წამყვანმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ აფრიკელი ხალხის ზიმბაბვეს კავშირმა (ზაპუ) ითქვეს მძიმედ დაჭრილი აფრიკელი. შემდეგ იგი მოკვდა საავადმყოფოში.

ტერორის კამპანია, რომელსაც სისტემატურად ეწევა უაიტჰედის რასისტული მთავრობა, განსაკუთრებით გაძლიერდა 12 სექტემბრის შემდეგ: ამ დღეს სამხრეთ როდეზიის კოლონიურმა ხელისუფლებამ დიდის ამბით იდღესასწაულეს სამხრეთ როდეზიის ოკუპაციის 62-ე წლისთავი. საბოტაჟის აქტები, რაც პატრიოტებმა მოაწყეს აფრიკელთა ეროვნული გრძნობების ამ აბუჩად აგდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, კოლონიზატორებმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს მორიგი „სისხლის გამოშვებისათვის“.

უაიტჰედმა გადაწყვიტა მთავარი იერიში მიეტანა აფრიკელი ხალხის ზიმბაბვეს კავშირის წინააღმდეგ. გახშირდა პატრიოტის შენობებზე თავდასხმები. „გუშინ პოლიციამ მთელ სამხრეთ როდეზიაში ალტრირებდა ორატორებს, რომლებიც გამოდიოდნენ ზაპუს კრებებზე“, — წერს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგგენტოს კორესპონდენტი.

გუშინ სოლსბერიში სიტყვა წარმოთქვა უაიტჰედმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობას „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სწრაფად მოუღოს ბოლო“ პროტესტის კამპანიას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კერძო მოქალაქეებს შეუძლიათ აწარმოონ დაპატიმრება. სავსებით ცხადია, რომ ასეთი განცხადება გზას უხსნის უაღრესად ფართო რასისტულ ტერორს.

სულის საკონცენტრაციო განაკი

ლონდონი, 17 სექ

ახალი ამბები

მოყვარულთა კინოხელოვნება

დიდად პოპულარულია საქართველოში მოყვარულთა კინოხელოვნება. ამ ხელოვნებას მისდევენ კოლმეურნეები, მუშები, სტუდენტები. ქალაქებში, სოფლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დიდ საწარმოებში შექმნილია სტუდიები, რომლებშიც გატაცებით მუშაობენ მოყვარულები. ისინი ქმნიან თავიანთი საწარმოებისა თუ კოლმეურნეობების ცხოვრების ამსახველ ფილმებს. რიგი ფილმები, რომლებიც მოყვარულებმა შექმნეს, დიდად შეაფასეს სპეციალისტებმა და მაყურებლებმა.

საქართველოში შეიქმნა კინომოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოება. ამ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის გადწყვეტილებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი აწყობენ მოყვარულთა ფილმების მეორე რესპუბლიკურ დათვალიერებას.

დათვალიერება გაიმართება საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში 24 და 25 სექტემბერს. (საქდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). „ისანი იცხოვრებენ კომუნიზმში“ — ასე ეწოდება ახალ მცირემეტრაჟიან კინოფილმს, რომელსაც მარგანეცის ქალაქში ერთი თვეა იღებს საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდია.

ფილმი ასახავს ჭიათურის ახალმშენებლობებს, მშენებელთა შემოქმედებითს შრომასა და ყოფაცხოვრებას. ფილმში ფართოდ იქნება წარმოდგენილი თამაზ ვასაძის კინოინსტრუქტორი შრომის ბრიგადის სამეანობა. ნაჩვენები იქნება აგრეთვე გ. ქურცაკიძის, გ. ჭიბონელიძის, ო. ეერულაშვილის, ა. კიკნაველიძის, ლ. გაბუნიას კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმეები.

სცენარის ავტორები არიან ი. დუბინსკი და გ. ნუცუბიძე. ფილმს იღებს რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორია ლ. არზუმანოვი.

ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს საკომსერვო ტრესტის სისტემაში შემავალი საკონსერვო საწარმოები ყოველწლიურად უმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მოსახლეობას აწვდიან მაღალი ხარისხის ხილს, ბოსტნეულს, ხორცის კონსერვებს და ამით შესამჩნევად უმაუბუქებენ დიასახლისს შრომას.

საკონსერვო საწარმოების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით წელს საქართველოს საკონსერვო ტრესტის სისტემაში შემავალ ქარხნებში ბევრი ახალი ტექნიკური სიახლე დაინერგა.

ქუთაისის, სამტრედიის, ზუგდიდისა და რესპუბლიკის სხვა ქარხნებში დადგეს „ვაკუუმ აპარატი“ — გერმეტიულად დახურული ქვაბი, სადაც უჰაერო სივრცეში ხარშავენ პროდუქციას, ასეთ დანადგარში მოხარშული პროდუქტები მთლიანად ინარჩუნებენ იმ ვიტამინებს, რაც ნედლეულს აქვს.

ნედლეულის ტრანსპორტირება ქარხნის ტერიტორიაზე ხდებოდა ხელის ურიკებით, რაც აფერხებდა მუშაობას. ბათუმის, ლაგოდეხისა და სოხუმის ქარხნებში ხელის ურიკები შეიცვალა ელექტროკარებით.

გორის საკონსერვო ქარხანაში დაინერგა კიტრის გადამუშავების ნახევრადმექანიზებული ხაზი, რომელმაც ერთი მესამედით შეამცირა მუშახელის რაოდენობა.

მინის ტარის ნახევრადმექანიზებული ხაზები დაინერგა გურჯაანის, ლაგოდეხის, გორის, აგარის საკონსერვო ქარხნებში.

რესპუბლიკის მთელ რიგ საკონსერვო ქარხნებში მოხდა თხევადი ნაწარმის გადაადგილება მილგაყვანილობის მეშვეობით. ასეთი მილგაყვანილობა გაკეთდა 1.500 გრძივი მეტრი.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში მოეწყო ბადრაჯნის ხიზილალის გადასამუშავებელი მექანიზებული ხაზი. ამავე ქარხანაში დაიდგა ახალი მექანიზებული იმპორტული ხაზი, რომელიც უმვგებს შესანიშნავ ხილის სასმელ წვენს. ქარხანაში მოეწყო აგრეთვე ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ხილის საკრელი მექანიზებული მანქანა.

გორის საკონსერვო ქარხანაში დამზადდა გამომგონებელ ვ. კეკლიშვილის პატენტირებული წიწაკიდან გულის ამომცლელი მანქანა.

წელს მესამე კვარტალში ამუშავდა გორის № 2 ქარხანა, რომელიც უმვგებს ტომატ-პასტებს, ტომატ-პიურეს, კეტჩუპსა და ყაბაყის წნილებსა და სხვადასხვა სახის კომპოტებს.

ამ ქარხანასთან მთავრდება ახალი საამქრო საბავშვო კონსერვებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის ძუძუთა ბავშვებსა და საბავშვო ბაღებს მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტებით, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებით.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲤᲠᲔᲜᲙ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲡᲘ

17 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერ ფრენკ რობერტსი მეუღლითურთ.

ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ სერ ფრენკ რობერტსი ეწვია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გეგოშვილს. ვიზიტს ესწრებოდა სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მესამე მდივანი ა. ლ. დოენისი, რომელიც ელჩს თან ახლავს მოგზაურობაში.

დიდი ბრიტანეთის ელჩი ეცნობა საქართველოს, მეუღლესთან ერთად მან ინახულა საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი, გაეცნო ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს. (საქდესი).

მეფუტკრეები შეიკრიბნენ აფხაზეთში

სოხუმი. (საკ. კორ.). მოსკოვიდან სოხუმში თვითმფრინავით ჩამოვიდნენ მეფუტკრეობის დარგში სოციალისტური ქვეყნების მესამე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი. მათ შორის არიან საუკეთესო სპეციალისტები ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საპატიო სტუმრები ინგლისიდან და საფრანგეთიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა სოხუმში განაგრძეს მოსკოვში დაწყებული დიდი საუბარი, მიძღვნილი მეფუტკრეობის დარგში სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციისადმი.

15 სექტემბერს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიხსნა კონფერენცია, რომელზეც წაკითხულ იქნა მთელი რიგი მოხსენებები ქართული ფუტკრის შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს გულრიფშის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს სოხუმის საფუტკრე მეურნეობა, გაეცნენ აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებს.

• • •

სურათზე: სოხუმის რაიონის სოფელ გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მეფუტკრე ი. კორნიენკო კონფერენციის მონაწილეებს აცნობს მუშაობის საკუთარ გამოცდილებას.

ფოტო გ. ალპერტისა.

ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲛᲔᲓᲓᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲦᲔᲠᲘ

ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები, დიპლომები, ფერად-ფერადი, ლამაზი ეტიკეტები...

რამდენი რამის მთქმელია ყოველივე ეს!

მოკრძალებით ვეხებით მაგიდაზე დაწყობილ ამ ძვირფას ნივთებს, ვსინჯავთ, შეფასერით და, ისე გვგონია, თითქოს თვითეულ მათგანში ჩვენი მიწისა და ვაზის სუნთქვა ისმოდეს...

— აი, ესღა შემოგვრჩა უამრავი ჯილდოებიდან, რომლებიც პაპაჩემს მიუღია, — ამბობს შავთვალწარბა ქალიშვილი გულიკო ჩიკვაიძე და კიდევ ორ თუ სამ მედალს დებს მაგიდაზე.

ვინ იყო მისი პაპა, რა ჯილდოებია ეს?

1929 წელს ქალაქ თელავში გარდაიცვალა ადგილობრივი მკვიდრი, 75 წლის მოხუცი იოსებ გიორგის-ძე ბაბუნიძე — კაცი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან სხვა ღირსეულ თანამემამულეთა შორის ერთგულ ქომაგად ამოუდგა მხარში დალოცვილ ჩვენებურ ვაზსა და ღვინოს.

თელაველი მესაკირის შვილმა მშობლების ეკონომიური ხელმოკლეობის გამო განათლება ვერ მიიღო. მაგრამ ხალხში აღზრდილმა და დავაუკაცებულმა იოსებ ბაბუნიძემ ის კი ღრმად შეიგრძნო თავდაგანე თუ რა სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა ქართულ ვაზს, მისგან მიღებულ უურძენსა და ღვინოს.

დაუდგრომელი, თვითნასწავლი მევენახე მთელი გატაცებით ჰკიდებს ხელს ვაზის გაშენებისა და ღვინის დაყენების საქმეს.

იოსებ ბაბუნიძეს გასული საუკუნის ბოლოს თელავის მახლობლად სოფელ რუისპირში უკვე ჰქონდა რქაწითელის, საფერავის, მწვანის, ბუდეშურის მცირე ნაკვეთები.

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, 1885 წელს იგი ქალაქ კიევში აარსებს ღვინის წარმოების ფირმას, ხოლო შემდეგ ასეთივე ფირმას თუ ღვინის საწარმოებს — პეტერბურგში, ვლადივოსტოკში, თბილისსა და მეფის რუსეთის სხვა დიდ ცენტრებში, რითაც ქართული ღვინოებით მეტოქეობას უწევს რუსეთის ბაზრებზე ევროპის სახელმწიფოთა საქეიფოდ განთქმულ ღვინოებს.

ამის ბრწყინვალე დადასტურებაა სწორედ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 14 მედალი, დიპლომები თუ სხვა დოკუმენტები, რომელთაგან ბევრი რამ აქამდე შემოუნახავთ მის შვილებსა და შვილიშვილებს.

აი თუნდაც ეს ვეება, თვალისმომჭრელად ელვარე ოქროს მედალი. იოსებ ბაბუნიძეს იგი მიუღია ჯილდოდ 1892 წელს ღვინოების პირველ საერთაშორისო გამოფენაზე პარიზში. დიპლომს ხელს აწერენ იმდროინდელი გამოჩენილი ფრანგი ღვინის დიდოსტატები.

დაწყებული 1892 წლიდან ქრონოლოგიურად თუ თვალს გადავავლებთ ჯილდოებს, რომლებიც იოსებ ბაბუნიძის მიერ დამზადებულ ქართულ ღვინოებს მიუღია სხვადასხვა დროს, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

1893 წელს ქ. პოლტავაში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამოფენაზე ქართული ღვინო დაუჯილდოებიათ ვერცხლის მედლით.

1894 წელს ქ. ანტვერპენში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე ჩვენებურ ღვინოს ბრინჯაოს მედალი მიუღია. იმავე 1894 წელს ბელგიაში — კვლავ ბრინჯაოს მედალი, 1896 წელს პეტერბურგში რუსეთის სამრეწველო და სამხატვრო გამოფენაზე — ბრინჯაოს მედალი, ხოლო 1897 წელს კიევის საოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე — ოქროს მედალი.

აქვეა შემდეგ წლებში პეტერბურგსა და თბილისში რუსეთის საიმპერატორო მბრძანებლობის საზოგადოების გამოფენაზე მიღებული ბრინჯაოს რამდენიმე მედალი.

საინტერესოა იმ ქართული ღვინოების სახელწოდებანი, რომლებიც ასე გაბედულად გაჰკრთნდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს თანამემამულეს.

1885 წლის დოკუმენტებში დასახელებულია წითელი ღვინოები — შავკოპინო, საფერავი, საქართველოს სიამაყე (ძალიან ძველი), სტეფანაური, მადლემაური; თეთრი ღვინოები — ბუდეშაური, რქაწითელი, მწვანე, ჯანაური...

ყურადღებას იქცევს თვით ყურძნის გადამუშავებისა და ღვინის დაყენების ტექნოლოგია, რომელსაც იოსებ ბაბუნიძე იყენებდა. შემორჩენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ სანაქებო ღვინოებს იგი ამზადებდა ადგილობრივი ჯიშების ყურძნიდან, რომლებსაც ცალ-ცალკე ჰკრეფდა, წურავდა და მხოლოდ შემდეგ მიმართავდა კუპაჟს.

მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც საქართველოში გაიმართა და რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა მუშაობა, ამ დარგის ბევრი ღვაწლმოსილი, მივიწყებული ადამიანის სახელი გამოამზეურა.

და რა საამაყოა, როცა ხედავ, იცი, რომ ჩვენი სამშობლო მდიდარია ასეთი ადამიანებით ისევე, როგორც ვაზის ჯიშებით, როგორც ღვინით!

ამიტომაც ახლა, როცა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა განვითარების არნახულ დონეზე ავიდა, როცა ჩვენმა ღვინოებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი, საბჭოთა მეღვინე-მევენახეები მადლიერების გრძნობით წარმოთქვამენ წინაპართა სახელებს, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს სამამულო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას.

ამ ღვაწლმოსილ ადამიანთა შორის ბრწყინავს თელაველი თვითნასწავლი მეღვინის იოსებ ბაბუნიძის სახელიც.

გ. გოგველიშვილი.

• • •

სურათზე: იოსებ ბაბუნიძის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული ჯილდოები — ოქროს მედალი (პარიზი, 1892 წ.) და ბრინჯაოს მედალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲙᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 18 სექტემბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ პარტიას ყველა საჭადრაკო შეჯიბრებაში, მითუმეტეს მატჩში მსოფლიოს პირველობაზე. სწორედ ამიტომ ორივე მეტოქე გულმოდგინედ მოემზადა პირველი შეხვედრისათვის. ეს თავიდანვე ნათელი გახდა. ე. ბიკოვამ მოულოდნელად აირჩია ნაკლებ გავრცელებული დასაწყისი.

დებიუტით მსოფლიოს ჩემპიონმა ოდნავ უფრო თავისუფალი თამაში მიიღო, მაგრამ იგი თავიდანვე მოერიდა აქტიური ოპერაციების დაწყებას. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ბიკოვა წინააღმდეგი არ იყო პარტია ყაყმით დაემთავრებინა.

მაგრამ ნ. გაფრინდაშვილმა მე-11 სვლაზე ფიგურის დროებით შეწირვით მკვეთრად გაამწვავა ბრძოლა. ამით მსოფლიო ჩემპიონს საშუალება მიეცა დაეწყო ხელსაყრელი თამაში ცენტრში და მეფის ფრთაზე. ეს მოძრაობა ე. ბიკოვამ აქცევა მოსასტავა შეძლოს გარეუნელად და ეფექტურად ბრძოლა. სულიერ თანაბარ პოზიციაში.

მიუხედავად ამისა ნ. გაფრინდაშვილმა შეუპოვრად იბრძოდა მოგებისათვის. მართალია, დიდხანს მას არ ჰქონდა გაბედული უპირატესობა, მაგრამ შემდეგ ბიკოვამ რამდენიმე სუსტი სვლა გააკეთა, რითაც ნ. გაფრინდაშვილმა ხელთ იგდო ინიციატივა.

მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების მიუხედავად სიმწვავე არ დამცხრალა. დაფაზე შეიქმნა ეტლების დაბოლოება, სადაც გაფრინდაშვილმა შებოჭა თეთრების ძალები.

ე. ბიკოვას 42-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო.

სპეციალისტების აზრით ნ. გაფრინდაშვილი ინარჩუნებს საგრძნობ პოზიციურ უპირატესობას. თეთრებს გაუჭირდებათ თავისი პაიკების დაცვა მეფის ფრთაზე.

ორმოცდამეორე სვლაზე პარტია გადაიდო ასეთ მდგომარეობაში:

თეთრები. თეთრებით თამაშობს ე. ბიკოვა. მფf1, ეd8, პ-ბი: a2, b3, c4, f3, g2.

შავები. შავებით თამაშობს ნ. გაფრინდაშვილი. მფf5, ეe6, პ-ბი: a5, b6, e6, f4, g3. ამ მდგომარეობაში ნ. გაფრინდაშვილმა ჩასწერა თავისი მე-42 სვლა,



ᲓᲦᲔᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

დასასრულს უახლოვდება თამაშები ქვეჯგუფებში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე გაიმართება უკანასკნელისწინა ტური, რომელთა შედეგები გარკვეულ სიცხადეს შეიტანენ სატურნირო ცხრილში.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ზენიტი“ და რიგის „დაუგავა“, კიმინიოვის „მოლდოვა“ თავის მოედანზე მიიღებს ვილნიუსის „უალგირისის“ ფეხბურთელებს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში ითამაშებენ „კაირატი“ და დონეცკის „შახტიორი“. ხარკოვის „ავანგარდი“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ ითამაშებენ ხარკოვში, ბაქოს „ნეფტიანიკს“ თავის მოედანზე პრინციპული შეხვედრა ექნება მინსკის „ბელარუსთან“, რომელსაც ექვსეულში მოხვდრის თეორიული შანსები აქვს. ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „დინამოს“ შეხვედრას, რომელიც ქუთაისში შედგება, დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე გუნდისათვის, აქ მოპოვებული ორი ქულა დიდი მანძილით დააცილებს ამ გუნდებს სახიფათო ზონისაგან.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო და გადამწყვეტი შეხვედრები დღეს გაიმართება მოსკოვსა და თბილისში. მოსკოვში ითამაშებენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „დინამო“.

თბილისში ითამაშებენ „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა მოსკოვში თბილისელთა გამარჯვებით 3:1 დამთავრდა. მოსკოველები შეეცდებიან რევანშის აღებას, მით უმეტეს, რომ მათ უკანასკნელ მატჩში ორი ოქროს ქულა დაკარგეს. ყოველ შემთხვევაში მატჩის შედეგს ორივე გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეისათვის თბილისელებს 9 თამაშიდან 12 ოქროს ქულა აქვთ, მოსკოველებს 8 თამაშიდან — 6 ქულა.

* * *

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ დუბლშემადგენლობათა შეხვედრა, რომელიც გუშინ გაიმართა თბილისში „დინამოს“ სტადიონზე, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „დინამოს“ სათადარიგო გუნდების შეხვედრაშიც გაიმარჯვეს მასპინძლებმა (4:2).

ᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

გუშინ კიევსა და დონის როსტოვში შედგა მორიგი მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფის ლიდერები ადგილობრივი „დინამო“ და მოსკოვის „ცსკა“. სპორტულად საინტერესო ბრძოლაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 და მეტად საჭირო ქულები ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. ბურთი, მოსკოველთა კარში გაიტანა ნახევარმცველმა სამომ.

როსტოვში პირველი წრის გამოტოვებული მატჩი ჩაატარეს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ და ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა. შეხვედრა მოიგეს რკინიგზელებმა ანგარიშით 3:2.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ბალტიისპირეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ტრადიციულ ტურნირზე ყველაზე ადრე დამთავრდა ვისტანეცკისა და ეტრუკის პარტია, სადაც მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

საქართველოს გუნდის წევრებმა ოსტატებმა ბლაგიძემ და ბუსლაევმა მაღალი ოსტატობით ჩაატარეს თავიანთი შეხვედრები მიკოვისა და კამპნუსის წინააღმდეგ და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ოსტატმა კლოვანმა თეთრებით ჟურავლიოვის წინააღმდეგ, მეოთხედ ამ ტურნირში გაითამაშა ეგრეთწოდებული ჩრდილოეთის გამბიტი და ისევ უკეთესი პოზიცია მიიღო. ხარისხის შეწირვის შემდეგ იგი ღებულობს ორ ძლიერ კუს და გამსვლელ პაიკს. პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში.

ბარშაუსკასმა თეთრებით ტურნირის ლიდერის ნეის წინააღმდეგ მწვავედ გათამაშა დებიუტი. პაიკის შეწირვით იგი ხანგრძლივად დაეუფლა ინიციატივას და ძლიერი გამსვლელი განაპირა პაიკი მიიღო. ნეი ზუსტად იცავდა თავს და ფიგურათა გაცვლით გამარტივა მდგომარეობა თავის სასარგებლოდ. პარტია გადაიდო.

ლომაიამ დამარცხება განიცადა ჩესნოუსკასთან პაექრობაში. ბარსტატისტმა მოუგო კლიავინს.

არულაიდ-ჯინჯიხაშვილის პარტია გადაიდო პირველისათვის რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში.

დღეისთვის ლიდერთა ჯგუფში არიან: ბუსლაევი — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნეი. — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ბალტიისპირეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ტრადიციულ ტურნირზე ყველაზე ადრე დამთავრდა ვისტანეცკისა და ეტრუკის პარტია, სადაც მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

საქართველოს გუნდის წევრებმა ოსტატებმა ბლაგიძემ და ბუსლაევმა მაღალი ოსტატობით ჩაატარეს თავიანთი შეხვედრები მიკოვისა და კამპნუსის წინააღმდეგ და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ოსტატმა კლოვანმა თეთრებით ჟურავლიოვის წინააღმდეგ, მეოთხედ ამ ტურნირში გაითამაშა ეგრეთწოდებული ჩრდილოეთის გამბიტი და ისევ უკეთესი პოზიცია მიიღო. ხარისხის შეწირვის შემდეგ იგი ღებულობს ორ ძლიერ კუს და გამსვლელ პაიკს. პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში.

ბარშაუსკასმა თეთრებით ტურნირის ლიდერის ნეის წინააღმდეგ მწვავედ გათამაშა დებიუტი. პაიკის შეწირვით იგი ხანგრძლივად დაეუფლა ინიციატივას და ძლიერი გამსვლელი განაპირა პაიკი მიიღო. ნეი ზუსტად იცავდა თავს და ფიგურათა გაცვლით გამარტივა მდგომარეობა თავის სასარგებლოდ. პარტია გადაიდო.

ლომაიამ დამარცხება განიცადა ჩესნოუსკასთან პაექრობაში. ბარსტატისტმა მოუგო კლიავინს.

არულაიდ-ჯინჯიხაშვილის პარტია გადაიდო პირველისათვის რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში.

დღეისთვის ლიდერთა ჯგუფში არიან: ბუსლაევი — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნეი. — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

□ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მუშა ახალგაზრდობის სწავლებას. ახალი სასწავლო წლიდან აქ გაიხსნა ქუთაისის დაუსწრებელი საშუალო სკოლის ფილიალი.

ქარხნის დირექციამ გამოჰყო ცალკე სასწავლო ოთახები და ყოველმაირად ეხმარება სწავლებაში ჩაბმულებს.

□ **ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ.** (საკ. კორ.). ანდრო ახრახაძე მოსამსახურეა, მაგრამ დახელოვნებული მევენახეც არის. იგი მუყაითად მუშაობს სოფელ კლდეეთის ღვინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ა. ახრახაძე სანიმუშოდ უელიდა მისთვის მიმაგრებულ საადრეო ჯიშს ვენახის ნაკვეთს. შრომაც აინაზღაურა. მან მიმაგრებული ნაკვეთიდან ჰექტარზე გადაანგარიშებით მიიღო 113 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

□ **ᲑᲝᲚᲘᲙᲐᲜᲘ.** (საკ. კორ.). ქალაქის მაგიტრალურ ქუჩაზე, მეშახტეთა ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე გაიხსნა ახალი, კვეთილმოწყობილი სბაბავშვო მაღაზია.

მაღაზია ყოველდღიურად ჰყიდის დიდძალ სამაბავშვო ფეხსაცმელს, სხვადასხვა ფასონის შეკერილ ტანსაცმელს და სხვ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

□ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მუშა ახალგაზრდობის სწავლებას. ახალი სასწავლო წლიდან აქ გაიხსნა ქუთაისის დაუსწრებელი საშუალო სკოლის ფილიალი.

ქარხნის დირექციამ გამოჰყო ცალკე სასწავლო ოთახები და ყოველმაირად ეხმარება სწავლებაში ჩაბმულებს.

□ **ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ.** (საკ. კორ.). ანდრო ახრახაძე მოსამსახურეა, მაგრამ დახელოვნებული მევენახეც არის. იგი მუყაითად მუშაობს სოფელ კლდეეთის ღვინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ა. ახრახაძე სანიმუშოდ უელიდა მისთვის მიმაგრებულ საადრეო ჯიშს ვენახის ნაკვეთს. შრომაც აინაზღაურა. მან მიმაგრებული ნაკვეთიდან ჰექტარზე გადაანგარიშებით მიიღო 113 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

□ **ᲑᲝᲚᲘᲙᲐᲜᲘ.** (საკ. კორ.). ქალაქის მაგიტრალურ ქუჩაზე, მეშახტეთა ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე გაიხსნა ახალი, კვეთილმოწყობილი სბაბავშვო მაღაზია.

მაღაზია ყოველდღიურად ჰყიდის დიდძალ სამაბავშვო ფეხსაცმელს, სხვადასხვა ფასონის შეკერილ ტანსაცმელს და სხვ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ

ᲕᲐᲠᲜᲐ, 18 სექტემბერი. (საკდესი). საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურში საბჭოთა გუნდი შეხვდა შვეიცარიის მოჭადრაკეებს. ოიჰანსონ-ბოტვინიკის პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში, პეტროსიანმა დაამარცხა შელდონი, გელერმა — ნილსონი. ტალ-სოდერბერგის შეხვედრა გადაიდო, პოზიციაში, სადაც გამარჯვების შანსი აქვს მსოფლიო ექს-ჩემპიონს.

• • •

გუშინ დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბოტვინიკი და ტალი ყაიმზე შეუთანხმდნენ მოწინააღმდეგეებს. შეხვედრის საერთო ანგარიშია 3:1 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

ᲙᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

მკვეთრად გაამწვავა ბრძოლა. ამით მსოფლიო ჩემპიონს საშუალება მიეცა დაეწყო ხელსაყრელი თამაში ცენტრში და მეფის ფრთაზე. ეს მოძრაობა ე. ბიკოვამ აქცევა მოსასტავა შეძლოს გარეუნელად და ეფექტურად ბრძოლა. სულიერ თანაბარ პოზიციაში.

მიუხედავად ამისა ნ. გაფრინდაშვილმა შეუპოვრად იბრძოდა მოგებისათვის. მართალია, დიდხანს მას არ ჰქონდა გაბედული უპირატესობა, მაგრამ შემდეგ ბიკოვამ რამდენიმე სუსტი სვლა გააკეთა, რითაც ნ. გაფრინდაშვილმა ხელთ იგდო ინიციატივა.

მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების მიუხედავად სიმწვავე არ დამცხრალა. დაფაზე შეიქმნა ეტლების დაბოლოება, სადაც გაფრინდაშვილმა შებოჭა თეთრების ძალები.

ე. ბიკოვას 42-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო.

სპეციალისტების აზრით ნ. გაფრინდაშვილი ინარჩუნებს საგრძნობ პოზიციურ უპირატესობას. თეთრებს გაუჭირდებათ თავისი პაიკების დაცვა მეფის ფრთაზე.

ორმოცდამეორე სვლაზე პარტია გადაიდო ასეთ მდგომარეობაში:

თეთრები. თეთრებით თამაშობს ე. ბიკოვა. მფf1, ეd8, პ-ბი: a2, b3, c4, f3, g2.

შავები. შავებით თამაშობს ნ. გაფრინდაშვილი. მფf5, ეe6, პ-ბი: a5, b6, e6, f4, g3. ამ მდგომარეობაში ნ. გაფრინდაშვილმა ჩასწერა თავისი მე-42 სვლა,

ᲓᲦᲔᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

დასასრულს უახლოვდება თამაშები ქვეჯგუფებში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე გაიმართება უკანასკნელისწინა ტური, რომელთა შედეგები გარკვეულ სიცხადეს შეიტანენ სატურნირო ცხრილში.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ზენიტი“ და რიგის „დაუგავა“, კიმინიოვის „მოლდოვა“ თავის მოედანზე მიიღებს ვილნიუსის „უალგირისის“ ფეხბურთელებს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში ითამაშებენ „კაირატი“ და დონეცკის „შახტიორი“. ხარკოვის „ავანგარდი“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ ითამაშებენ ხარკოვში, ბაქოს „ნეფტიანიკს“ თავის მოედანზე პრინციპული შეხვედრა ექნება მინსკის „ბელარუსთან“, რომელსაც ექვსეულში მოხვდრის თეორიული შანსები აქვს. ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „დინამოს“ შეხვედრას, რომელიც ქუთაისში შედ